ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

**№ 21-22** **1883-1891** 30 ნოემბერს.

შინაარსი: რედაქციისაგან.—სულიერი მწყემსის კეთილი ცხოვრების მნიშვნელობა, როგორც ზნეობის მასწავლებლისა.—მეფე დავით აღმაშენებლის სახელობაზე დაარსებული ძმობის გახსნა და იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების მე XXX რიგის კრება.—საქართველოს წესწყობილებათა ისტორიიდამ.—ლექსი.—ჟურნალ-გაზეთთაგან.—ახალი ამბები და შენიშვნები.—იოანნე გლახაკი.—შეწირულებანი.—რედაქციის პასუხი და განცხადებანი.

## რედაქციისაგან.

ამა წლის პირველი ოქტომბრიდამ ღვთის მადლით და შეწევნით ეს მეათე წელიწადი იწყება, რაც ჩვენი გამოცემა არსებობს. მართალია, დიდი დრო არ არის ეს დრო, მაგრამ თუ საქმეს დააკვირდით, გამოიკვლიეთ კარგად გაზეთის გამოცემის საქმე და რედაქციის მდგომარეობა საზოგადოდ და ჩვენისა—საკუთრად, ჩვენი საზოგადოების სიხალისე დროგამოშვებით გამოცემათა კითხვისა და მისი ზნეობრივი მდგომარეობა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ყველანი დაგვეთანხმებიან, რომ სწორეთ ღვთის შეწევნით ვასრულებდით ჩვენ ამ ძნელ საქმეს... ცხრა წლის ნიადაგმა შრომამ და დაუწყნარებელმა ცხოვრებამ, ამაო წუთი სოფლის უსამართლოებას და უზნეობის, ფარისევლობის და ორპირობის წინააღმდეგ ბრძოლამ დიდი გავლენა იქონია ჩვენს დღეგრძელობაზე, მაგრამ ჩვენი პირ-და-პირი მოვალეობა და ჩვენგან გაზეთის დაარსებისთანვე გამოთქმული სიტყვები გვავიწყებს მომღალავ და სიცოცხლის შემამოკლებელ შრომას და ყოველნაირ ამ ამაო წუთის სოფლის უსიამოვნებას და მღელვარებას...

ყოველთვის სამძიმო იყო ჩვენი ტვირთი, მაგ-

რამ ამ მიმდინარე წელში ერთი ორად სამძიმო შეიქმნა იგი. მკითხველებმა იციან, რომ ჩვენ მრავალ გზის მოგვეცა წინადადება ჩვენი ორგანო სრულ ოფიციალურ ორგანოდ გადაგვეკეთებია და მასთან გვთხოვდენ, რომ ჩვენი გამოცემის პროგრამა შეგვეცვალა, მაგრამ სხვა-და-სხვა მოსაზრებათა გამო ჩვენ ვერ დავთანხმდით ამაზედ. ამისათვის განზრახულ იყო ოფიციალური გაზეთის გამოცემა სხვა პროგრამით და სხვა მიმართულებით. ამ მომავალ გაზეთს ჩვენ სიხარულით მივეგებეთ, გზა დაულოცეთ; ვასურვეთ მისგან ძმური და ზნეობრივი დახმარება და ჩვენ ჩვენს გზაზე დავადექით. ერთმა მხოლოდ ღმერთმა უწყის, თუ რისთვის იწყინეს ჩვენი ამისთანა საქციელი ზოგიერთებმა. როგორც კაიაფას ეზოში ეძიებდენ ცრუ-მოწმებს, ისე დაიწყეს ძებნა ცრუ მოწმებისა ჩვენი გამოცემის წინააღმდეგ. დიდ დროსაც არ გაუვლია ამისთანა ცრუ მოწმების ძებნაში. «Нов. Обоз.»-ში აღმოჩნდა ვინმე ილია ხონელი და «ივერიაში» ვინმე სომეხი დუშიკო. ერთი ამტკიცებდა, რომ თავის ოფიციალურ ნაწილში «მწყემსი» სინოდის უქაზებს ბლომად არ ბეჭდავს, სემინარიაზე არაფერს ცნობას არ გვატყობინებს; პირველი ადგილი ამ გაზეთში თვითონ რედაქტორის ქადაგებას უკავია. «ივერია»-ში სომეხმა დუშიკომ, რომელიც რედაქტორის მაგიერად იგდებდა თავს და «ივერია» თავზედ ჰქონდა წამოცმული, განიმეორა ესეები ქართულად და დასძინა: მე მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების მოქმედების შეტყობა მწყურიან და «მწყემსში» არაფერი არ იბეჭდება ამ საგანზედ და ამიტომ ეჩმიაძინის პატრიარხს სთხოვდა შეჩვენება გამოეცხადებია გაზეთ «მწყემსი»-სათვის. როდესაც ჩვენ პირდასაყოფელი პასუხი მივეცით ამ ორ ცრუ მოწმეთ და ფაქტიკური დამტკიცება მოვსთხოვეთ, მათ ცრუობაზე, შემდეგ სხვა კილოზედ დაიწყეს ჩვენება: «მწყემსი» გვლანძღავს იმისთვის, რომ სიხარულით მივეგებეთ ახალ სასულიერო გაზეთს, სხვა არა დაგვიშავებია რაო და ამტკიცებდენ, რომ ეს ახალი გაზეთი ყველა გაზეთებზედ უმშვენიერესი იქნებოდა ყოველის მხრით და სწორედ ჩვენი საზოგადოების წყლულის მალამო იქნებაო... კიდევ, ვინ მოსთვლის რაები არ გამოსთქვეს. სამწუხაროდ, ყველა ამ ცრუ ჩვენებაზედ წერაც არ შეიძლება...

მალე შევიტყეთ მიზანი და მიმართულება ამ ორ ცრუ მოწამეთა. ერთს თურმე სახეში ჰქონდა ღირსება ახდილი თავის მამის დაფარვა და მეორეს ამ ახალი მომავალი გაზეთის ნასინსვლით სარგებლობა. ორივენი ეწიენ თავის საწადელს. ულირსი ღირსეულად რჩება და სომეხი ქართველს ართმევს ლუკმას!..

ჩვენი ვალია ყველას მიუტევოთ თავიანთი შეცოდება. ღმერთმა სომეხსაც და ხონელსაც მიუტევოს მათი შეცოდება და ცრუ მოწმობა. კმარა მათთვის დასასჯელად ისიც, რომ იგინი გააძიეს ხსენებულ გაზეთების რედაქციებიდამ და მათ ცრუ მოწმობას ადგილი აღარ აქვს ამ ხსენებულ გაზეთებში. ასეა ყოველთვის. ხანდისხან პირველად სიმართლე უსამართლობით ითელება, მაგრამ არ შეიძლება, რომ სიმართლემ ბოლოს მაინც არ დასთრგუნოს უსამართლოება და სიცრუე...

მართალია, ზნეობრივი დახმარება და შემწეობა ზოგიერთ პირთაგან ჩვენ მოგვაკლდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, მკითხველ საზოგადოებაში და ჩვენ ქართველ გადაუგვარებელ მოძმეებში კიდევ ვპოვებთ ძალას და თანაგრძნობას. სრული იმედი გვაქვს, რომ შემდეგშიაც არ მოგვაკლდება ჩვენ ეს თანაგრძნობა.

მადლობა ღმერთს, ჩვენში მრავალნი არიან, რომელნიც კარგად გრძნობენ, რომ დროკამოშვებითი გამოცემა არის პირველი განმაღორძინებელი და განმავითარებელი ქართული ენისა და სწავლა-მეცნიერების გავრცელებისა... ერთსა და იმავე დროს ორი დიდი საქმე კეთდება: გაზეთი ასრულებს თავის დანიშნულ პროგრამას, ასულდგმულებს ენას და განავითარებს გონებას. ამას უნდა ჩაუფიქრდეს ყველა ის ღრმად, რომელთაც სურსთ შემწეობა და დახმარება აღმოუჩინონ სკოლებს იმ საქმეში, რომელიც მათ ვერ შეუსრულებიათ რაიმე მიზეზთა გამო...

თუმცა შესამჩნევად არა, მაგრამ ამ ბოლო დროს ძლიერ სასიამოვნო მოვლენას ვხედავთ ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში. ამ ბოლო დროს იქა-აქა საზოგადოებაში ვამჩნევთ საზოგადო საქმეებზე მზრუნველობას, საზოგადო საქმის სამსახურში ერთობას, ერთგულობას და ერთსულობას. საკმაოა, გავიხსენოთ იმერეთის სამღვდელოების ყრილობის გარდაწყვეტილება ქუთაისში ქალების სკოლის გახსნაზედ და მარტვილში, საჩხერეში და ალიაუბანში სამრევლო

სკოლების გახსნის საქმე. შესანიშნია, რომ ყველგან აქ ჩანს სამღვდელოების მეთაურობა. სამწუხაროა, რომ საერო წოდება თავს იჩენს ხოლმე მარტო არჩევნების დროს და თავს იჩენს ერთი ერთმანეთის წინააღმდეგ დამკლავებაში და მეკენჭეების მოსყიდვაში. დიახ, ჭეშმარიტად სამწუხარო მოვლენა არის ეს ჩვენს ცხოვრებაში.

დიდი დასაფიქრებელია ჩვენთვის, ჩვენო მოძმენო, ეს მოვლენანი. ჩვენი ვალია ჩვენს სამწყსოზედ ნიადაგი ფიქრი და ზრუნვა და თუ საჭიროება მოითხოვს, მათთვის თავის შეწირვაც.

გაზეთის საშვალებით შეგვიძლია ჩვენ დაუახლოვდეთ და შევატყობინოთ ერთმანეთს ჩვენი გაჭირვება და დალხინება. საჭიროა, ერთგულობით და ერთსულობით მივყოთ ხელი საზოგადო საქმეს...

როდესაც საზოგადოებას სიცოცხლე ემატება, როდესაც მასში ვამჩნევთ გონების მოძრაობას, საზოგადოების ინტერესების და კეთილ დღეობის შეგნებას, მაშინ ყველა, როგორც გარეშე მაყურებელი ხალხი, ისე თითოეული შინაური წევრიც განსხვავებული ერთ რაღაცა სიხარულის გრძნობით, ბრწყინვალე იმედით და ვიძახით: აწი ამ ხალხს აღარა უშავს-რა, მან გაიღვიძა, გამოფხიზლდა და დაადგა წინ-სვლის გზას. მაშინ ყველას იმედი გვაქვს, რომ ამ საზოგადოებაში მტკიცედ ფეხს მოიდგამს ისეთი სიცოცხლის ცხოველ-მყოფელი ძალანი, როგორიც არიან: ძმობა, ერთობა და სიყვარული. საზოგადოების ესეთ შეცვლას თან მოჰყვება ახალი მოთხოვნილებანი, რომელთაც სულ სხვა ფერი და სახე სძევთ იმ მოთხოვნილებათა შედარებით, რომელნიც იბადებიან მხოლოდ კუჭის დაკმაყოფილებისათვის და პირადი სარგებლობის მისაღწევად. ამნაირ მოძრაობას, ამნაირ შეცვლას და გადასხვაფერებას გემოისა და მოთხოვნილებათა საზოგადოებაში აუცილებლად სჭირია ისეთი იარაღი, რომელმაც როგორც სარკე, ისე გამოისახოს თავის შორის ყოველი ეს ფერად-ფერადობა ახალი ფეხ-ადგმული სიცოცხლისა და ყველას დაანახოს მასში რა არის კანონიერად და წესიერად და სად რა ელობება წინ უმსგავსო ამ ახალს მოძრაობას. მთელს ქვეყანაზე ცნობილია ამ გვარ იარაღად ბეჭვდითი სიტყვა, რომელიც მხოლოდ მარტო ერთად ერთი აღჭურვილია იმ ყოვლად შემძლებელი ძალით, რასაც არავითარი თვით უმცირესი ცვლილება და მიხვევ-მოხვევა არ გადურჩება შეუმჩნევლად და გამოუქვეყნებლად რთულს ცხოვრებაში. პირველი ნიშანიც საზოგადოების გონების სიმაღლისა ის გახლავსთ, როცა უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა ამ იარაღს ეჭიდება და ამ კეთილ-შობილი იარაღით მხოლოდ ცდილობს თავის სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს კეთილი ნიშანი ჩვენს საზოგადოებასაც თან-და-თან დაეტყო და იმედი გვაქვს, რომ დღითი დღე, წლითი-წლამდე ეს სასიამოვნო მოვლენა უფრო და უფრო იმატებს და მით გაგვამხნევებს ჩვენს მძიმე საზოგადოებისადმი სამსახურში ბეჭვდითი სიტყვითი საშუალებით.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

## სულიერი მწყემსის კეთილი ცხოვრების მნიშვნელობა, როგორც ზნეობის მასწავლებლისა.

უმთავრესი მოვალეობა ეკკლესიის მწყემსისა არის, რომ მან ზნეობა და სარწმუნოება აღამაღლოს თავის სამწყსოში. მარტო საღმრთო წესების შესრულება არ შეადგენს მწყემსის უპირველეს და ერთად-ერთ მოვალეობას. მწყემსი არის ზნეობითი ძალა თავის სამწყსოში, იგი ვალდებულია თავის სულიერი სამწყსო დააყენოს სწორს გზაზე. მწყემსი ვალდებულია თვალ საჩინო მაგალითებით აღამაღლოს სამწყსოში ზნეობა და კეთილი ცხოვრება, რადგან დაბალს ხალხს იმოდენად არა აქვს გონება გახსნილი, რომ მან შეიძლოს გაარჩიოს კანონიერი მოქმედება უკანონოსაგან. მდაბიო ხალხი ხშირად მოქმედებს და სრულებით არ უწყის, რომ მისი რომელიმე საქციელი წინააღმდეგია ქრისტეს სჯულისა. მან არ უწყის ძალა ქრისტეს სჯულისა, და თავის მოქმედების დროს ყოყმანებს და არ იცის, რომელ გზას დაადგეს. ამ შემთხვევაში მწყემსი, თავის პირდაპირი მოვალეობისამებრ, ვალდებულია დაეხმაროს თავის სამწყსოს; იგი ვალდებულია შეასწავლოს თავის სამწყსოს ქრისტეს სწავლის ჭეშმარიტებანი, რომელთა შემწეობით ხალხმა უნდა იხელმძღვანელოს ცხოვრებაში, აგრეთვე მწყემსმა უნდა განუმარტოს და შეაგონოს მისდამი რწმუნებულს სულიერს სამწყსოს უმთავრესი დანიშნულება კაცის ცხოვრებისა ამა ქვეყანაზე.

ამ მიზნის მისაღწევად მწყემსს შეუძლია იხმაროს ორი საშუალება: სიტყვა და თავისი საკუთარი ცხოვრების კეთილი მაგალითები. სიტყვა და საუბარი ერთი უპირველესი საშუალებაა, რომელთა მეოხებით მწყემსს შეუძლია ზედმოქმედება იქონიოს თავის სამწყსოზე. სიტყვა-საუბრების საშუალებით მწყემსს შეუძლია თავისი აზრი და გრძნობანი პირ-და-პირ გარდასცეს სხვათა. ამიტომ ეკლესიის მწყემსის ერთ დიდ მოვალეობას შეადგენს ქადაგება.

მაგრამ ერთი მხოლოდ ქადაგება ამისთანა მაღალი მიზნის მისაღწევად არ კმარა. საჭიროა, რომ თვითონ მწყემსი იყოს წარმომადგენელი და ნამდვილი აღმასრულებელი ყველა იმ ზნეობით მოთხოვნილებათა, რომელთაც ის ქადაგებს სიტყვით. მწყემსის მხრით აუცილებელი საჭიროა, რომ იგი იყოს ცხადი და ცხოველი მაგალითი თავისი მრევლისათვის. რომ იგი საქმით და ცხოვრებით ამტკიცებდეს იმას, რასაც ქადაგებს და ურჩევს თავის სულიერ შვილთა აღსასრულებლად.

თუ მწყემსის ცხოვრება და მოქმედება არ ეთანხმება მის სიტყვას, მაშინ მის ქადაგებას არა აქვს ძალა და რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ამ შემთხვევაში მწყემსის სიტყვა რჩება სიტყვად და მსმენელზე არავითარიმე კეთილ ზედგავლენას არ ახდენს.

უმთავრეს და არსებით საგანს კაცის ცხოვრებაში შეადგენს ზნეობითი მხარე. ცხოვრებაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს არა ცოდნას, არა წარმოდგენას, რომელნიც შეადგენენ გონების ერთად ერთ კუთვნილებას, არამედ ზნეობით თვისებას, რომელიც იხატება კაცის ცხოვრებაში და მოღვაწეობაში. ეს ზნეობითი მხარე, ანუ უკეთა ვსთქვათ, პრაქტიკული და რეალური მხარე კაცის ცხოვრებაში არის შედეგი იმ ზედმოქმედებისა, რომელსაც ახდენს კაცზე ის საზოგადოება და წრე, რომელთა შორის ის ცხოვრებს და მოქმედებს, ვინემ შედეგი მისი საკუთარი გონების განვითარებისა. «მითხარი მე, ვის იცნობ შენ, და მე გეტყვი, ვინ ხარ შენ», — ამბობს ერთი ძველი ანდაზა. ეს სიტყვები ცხადათ და აშკარათ გვიხატვენ, თუ რა ზედგავლენა აქვს კაცზე იმ წრეს, რომელშიაც ის ცხოვრებს და მოღვაწეობს. ეს ნამდვილად ასეა. ხშირად ზნეობითად გაფუჭებული კაცი შესაჩნევად უკეთესდება, ან ერიდება ცუდ საქმეს იმ საზოგადოებაში, რომელიც იმაზე მაღლა სდგას გონებით და ზნეობით. აგრეთვე ზნეობითად წმიდა კაცი ფუჭდება და ირყვნება იმ საზოგადოებაში, რომელიც უზნეოა.

კაცის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ მასზე უფრო მოქმედებს ცხოველი მაგალითი, ვინემ სწავლა. ის მხედართ-უფროსი, რომელიც პირველად თვითონ მიისწრაფის მტრის წინააღმდეგ, უფრო ძლიერ მოქმედებს ჯარზე, ვინემ ის მხედარი, რომელიც თავის თავს უფრთხის და ჯარს კი აქეზებს, რომ იგი მტერს გულადად შეხვდეს. სწორედ ასეთვე მოქმედებს კაცზე კეთილი მაგალითი. და თუ კეთილს მაგალითს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს კაცის ზნეობით მხარეზე, სულიერი მწყემსის კეთილს ცხოვრებას ხომ უფრო მომეტებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მისდამი რწმუნებული სამწყსოის სარწმუნოებრივ-ზნეობით განვითარების საქმეში. მწყემსი არის დარაჯი თავისი სამწყსოისა. მან თავისი კეთილი ცხოვრებით უნდა განაღვიძოს სამწყსოში კეთილი ცხოვრებისადმი მისწრაფება. მწყემსმა ძლიერ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს თავის თავს, რომ მისი სიტყვა ეთანხმებოდეს მის მოქმედებას. იმ მწყემსის სიტყვა-ქადაგებას, რომელიც ტაძარში ჰქადაგებს მაღალს ჭეშმარიტებას, ხოლო თავის სახლში იქცევა უზნეოდ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მსმენელთათვის. ასეთი მწყემსი თავის დღეში ვერ იხილავს თავის მოქმედების კეთილს ნაყოფს.

თუ ასეთი ზედმოქმედება აქვს კეთილ ცხოვრებას საზოგადოდ, მით უმეტეს საჭიროა ეს კეთილი ცხოვრების მაგალითები დაბალი ხალხისათვის, რომელსაც მარტო ერთი გონებით არ შეუძლია შეიგნოს უაღრესობა ქრისტეს სჯულისა; მასზე უფრო მოქმედებს კეთილი ცხოვრების ცხოველი მაგალითები.

როგორ უნდა უსაყვედუროთ გლეხს მისი ცუდი და უზნეო საქციელი, როდესაც თვითონ მისი მოძღვარი, რომელიც ერთგულად უქადაგებს სამწყსოს ტაძარში ქრისტეს სჯულის მტკიცედ აღსრულებას, ტაძრის გარეშე თავის სიტყვების წინააღმდეგ მოქმედებს. გლეხი თავის მოძღვრის უზნეო მოქმედების შემხედვარე, ყოველთვის გაამართლებს თავს და გაბედულად მოგიგებსთ: «თუ კი ჩემი მოძღვარი ვერ ასრულებს მას, რასაც ჰქადაგებს, მე როგორღა შევსძლო მისი სიტყვების აღსრულება და თუ იმას მიეტევება მისი ცუდი მოქმედება, მე უფრო არ უნდა მომეტეოსო». ამიტომაც არის, რომ სამწყსო მუდამ

ერთსა და იგივე ბოროტებაში და გაუნათლებლობაში რჩება, ათასი რომ მჭევრმეტყველურად უქადაგო მას ტაძარში ქრისტეს სჯულის მაღალი ზნეობა. ხშირად უსაყვედურებენ ხოლმე გლეხებს, რომ ისინი კვირა-უქმე დღეებს რიგიანად არ ინახვენ, მაგრამ იცით, რას ამბობენ ამაზე გლეხები: «თუ კი ჩვენი მოძღვარი მუშაობს, ჩვენ რაღა დავაშავეთო». მართლაც, როგორ შეგვიძლია მოვსთხოვოთ გლეხებს კვირა-უქმე დღეების წმიდად დაცვა, როდესაც ზოგიერთი მათი მოძღვარი, რომელმაც არა ერთ გზის იქადაგა ტაძარში დღესასწაული დღეების შესაფერად დაცვა, წირვის შემდეგ იწყებს მუშაობას და ხანდისხან თავის სულიერ შვილებსაც სთხოვს ხოლმე მოხმარებას?

ამიტომაც მხოლოდ ის მწყემსი არის ჭეშმარიტი მასწავლებელი ზნეობისა, რომელიც, როგორც იტყვის მოციქული, ყოველივეში თავის თავს მისცემს სამწყსოს სახედ კეთილთა საქმეთა შინა.

მეორეს მხრით მწყემსის სიტყვა-დარიგებას მაშინ შეუძლია იმოქმედოს მსმენელებზე, როცა თვითონ მწყემსს შეგნებული აქვს თავის სიტყვების მნიშვნელობა და ძალა, როცა სამწყსო ხედავს მისი მწყემსის ცხოვრების კეთილ მაგალითებს და ზნეობას. როგორ იქადაგებს ზნეობაზე ის მოძღვარი, რომელიც თავის ცხოვრებაში არა თუ არ სცდილობს განახორციელოს ის, რასაც თვითონ ჰქადაგებს, არამედ მუდამ თავის სიტყვების წინააღმდეგ იქცევა და მოქმედებს?! ამისთანა მწყემსი სულ რომ არ ჰქადაგებდეს, უკეთესია, რადგან მისი სიტყვის და საქმის სხვა და სხვაობა უფრო უკარგავს მას მნიშვნელობას ხალხის თვალში. როცა გვსურს, რომ ვინმე დავარწმუნოთ რამეში, პირველად ჩვენ თვითონ უნდა ვიყვეთ დარწმუნებული: თუ გვინდა სხვას ვასწავლოთ ზნეობა, პირველად ჩვენ უნდა ვიქცეოდეთ ზნეობითად; ამ შემთხვევაში საკმაო არ არის მარტო ზნეობის კანონების ცოდნა, უმთავრესად საჭიროა ამ კანონების განხორციელება ცხოვრებაში. გაბედულად შეგვიძლია უთხრათ იმ მწყემსს, რომელიც სხვას ასწავლის ზნეობას და თვითონ კი უზნეოდ იქცევა: «მკურნალო, პირველად განიკურნე თავი შენი».

ყოველმა მწყემსმა თავის ქადაგების და მოღვაწეობის დროს სახედ უნდა იქონიოს მაცხოვრის და მისი მოციქულების ქადაგებრივი მოღვაწეობა. მოციქულებმა თავისი მჭევრმეტყველური სიტყვებით კი არ მოუქცევიათ ხალხი ქრისტეს სარწმუნოებაზე, არამედ თავიანთი კეთილი ცხოვრებით და ჭეშმარიტი სარწმუნოებით.

დაბოლოს კეთილი მაგალითები იმიტომ არის საჭირო, რომ კაცზე ნამდვილი სახე საგნისა ყოველთვის უფრო მოქმედებს, ვინემ მისი უბრალო აღწერილობა.

ამიტომაც ის მწყემსი, რომელიც სცხოვრებს მაცხოვრის მცნებისამებრ, უკეთესი მასწავლებელია ზნეობისა, ვინემ ის, რომელიც ჰქადაგებს ზნეობის უმაღლეს ჭეშმარიტებათა, მაგრამ თვითონ კი თავის სწავლის წინააღმდეგ იქცევა.

## მეფე დავით აღმაშენებლის სახელობაზე დაარსებული ძმობის გახსნა და იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების კრება დანიშნული იყო ამა ნოებრის თვის 2, 3 და 4 რიცხვებში. დეპუტატები მოწვეულნი იყვნენ როგორც ადგილობითი სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის საქმეებისა გამო, ისე სასწავლებელთან დაარსებული ძმობის გახსნაზე დასასწრებლად. უნდა ვსთქვათ, რომ კრება ძალიან ცუდ დროს იყო დანიშნული. ამ დროს მრევლის მღვდლებს ბევრი საქმე აქვსთ სამრევლოში, თითქმის ყოველ დღე წირვა ხდებათ მათ შესასრულებლად; ამას გარდა ცუდი ამინდებიც იყო და ამიტომ პირველს დღეს არც ერთი დეპუტატი არ გამოცხადებულა. მეორე დღეს, სამს ნოემბერს, გამოცხადდა მარტო 27 დეპუტატი 40 დეპუტატში.

ივერიელი

3 ნოემბერს, დილით კვირას, სასწავლებლის ეკკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი საკრებულო ტაძრის სამღვდელოებითურთ. წირვის გათავების შემდეგ გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი ძმობის გახსნის შემთხვევისა გამო. წირვის და სამადლობელი პარაკლისის შესრულების დროს ჰგალობდენ მღვდელთ-მთავრის მგალობელთა გუნდი. ტაძარში გარდა მასწავლებლებისა და მოწაფეებისა დაესწრო მრავალი მლოცველები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი არა სასიამოვნო მოვლენა. მმ. დეპუტატებს ძალიან სურდათ მოესმინათ გალობა და საეკკლესიო წიგნების კითხვა ქართულს ენაზე, მაგრამ მათი სურვილი სურვილად დარჩა და ერთი ქართული სიტყვაც ვერ გაიგონეს მათი შვილებისაგან, რომელნიც მარტო სლავიანურს ენაზე გალობდენ და კითხულობდენ. ასეთ არა სანატრელ მოვლენას ვხედავთ ჩვენს სასწავლებლებში განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს. ერთის მხრით მეტად სასიამოვნო და სასიხარულოა, როცა სასწავლებლების მეუფროსენი ცდილობენ, შეასწავლონ თავიანთ მოწაფეებს გალობა, კითხვა და ეკკლესიის ყველა წესები, მაგრამ ვერ გაგვიგია, თუ რისთვის არის უყურადღებოდ მიტოვებული ქართული გალობა და ქართული საეკკლესიო წიგნების კითხვა. ჩვენის აზრით, ჩვენს შვილებს—მოწაფეებს სასულიერო სასწავლებლებში პირველად ქართული გალობა და ქართული საეკკლესიო წიგნების კითხვა უნდა ასწავლონ. ჩვენი შვილები სასულიერო სასწავლებლებში სწავლის გათავების შემდეგ უმეტესად მიდიან მღვდლებად. თუმცა ყოველს ქართველ კაცს დიდი სურვილი აქვს, შეისწავლოს რუსული ენა, მაგრამ ჯერ იმდენად იაე არსა შეუსწავლიათ რუსული ენა, რომ შეიძლონ საღმრთო მსახურების ამ ენაზე მოსმენა. სოფლებში ძვირად მოიპოვება ისეთი სამრევლო, სადაც სამწყსოს შეეძლოს მოსმენა და გაგება ღვთის-მსახურებისა სლავიანურს ენაზე. არა თუ ჩვენში, რუსეთშიაც კი ყველგან არ შეუძლიათ სლავიანურს ენაზე წაკითხულის გაგება.

1889 წელში ჩვენ ვნახეთ პეტერბურგში მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა მიტროპოლიტი ისიდორე, რომელმაც, სხვათა შორის, ბრძანა: სასიამოვნო არ არის, რომ საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი პირნი როცა სახლებში ბრუნდებიან, მათი მშობლები იძულებულნი არიან ხელახლად დაწყებინონ თავიანთ შვილებს საეკკლესიო წიგნების კითხვა და გალობა, რომ შემდეგ ხელდასხმულ იქმნენ მღვდლად. აი რას ბრძანებს მისი მეუფება, რომელიც კარგად იცნობს საქართველოს ხალხს და მის მოთხოვნილებას. რა არის მიზეზი, რომ ჩვენმა შვილებმა სასულიერო სასწავლებლებში კურსის დამთავრების შემდეგ არ იციან ქართული საეკკლესიო წიგნების კითხვა და გალობა და სასწავლებელს გარეშე იძულებულნი ხდებიან შეისწავლონ ესეები? მიზეზი ამისა ის არის, რომ ჩვენ შვილებს რომლებსაც ამ სასწავლებლებში ამზადებენ სამღვდელოდ, მუდამ წვრთნიან სლავიანურ წიგნების კითხვაში როგორც სკოლაში, ისე ეკკლესიებში და ქართული საეკკლესიო წიგნების კითხვაზე და გალობაზე სრულებით არ არის ჯეროვანი ყურადღება მიქცეული. სასიამოვნო არის, რომ ჩვენს შვილებს სლავიანურს კითხვას და გალობას ასწავლიან, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პირველი ადგილი ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში ქართულ საეკკლესიო წიგნების კითხა და გალობას უნდა ჰქონდეს მიქცეული. მაგრამ ზოგიერთი ამ სასულიერო სასწავლებლების უფროსები, რაღაცა ჩვენგან გაუგებარი მიზეზისა გამო, სრულებით ყურადღებას არ აქცევენ ქართულ კითხვს-გალობას და არ იციან, რომ ამისთანა საქციელით ვერასოდეს ვერ მიაღწევენ უმაღლესი მართებლობის მიზანს სარწმუნოების და ზნეობის შესახებ. ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, რადგან პირ-და-პირს საგანს გადავსცილდით.

სასწავლებლის ეკკლესიიდამ მთელი შეკრებილი საზოგადოება გაემგზავრა სასწავლებლის ზალაში, რომელიც შესაფერად იყო მორთული. ცოტა ხნის შემდეგ ზალაში შემობრძანდა ყოვლად სამღვდელო გაბრიელი. სასწავლებლის მოწაფეებმა იგალობეს რამდენიმე საგალობელი. შემდეგ ორმა მოწაფემ წაიკითხა ლექსები. პირველმა წაიკითხ ვ. ო. ლექსი:

### გ ე ლ ა თ ი.

«არის ადგილი, მის შვენებას ვერ ასწერს ხელი;
როგორც ედემის, მის აღწერა ისეა ძნელი.
მისი შვენება ედემისა არის შვენება;
იმის შვენების მოშორება თვალს ენანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი შენობა მის დიდს მთაზედ არს აღმართული;
ათასის წლისა ხავსით არის იგი მორთული.
ხდვას დიდებულად, გულ-ამაყად, მტკიცედ და მაგრად,
თითქო უბძანებს გარემემო ხეობათ და მთათ:
«აქ ვდგევარ მარტო, უშეზობლოდ, ვდგევარ ლიტონი,
მარტოც ვარ თქვენი მბრძანებელი, თქვენი პატრონი».
რა შენობაა ის შენობა!—ჰკითხეთ თვითონ მას,
ათასის წლისა თქვენ კედელი მოგცემსთ თვითონ ხმას.
იმის კედელი ჯერეც მტკიცე, არ დარღვეული,
იმ შენობისა დიდებული არის რჩეული.
ის ჩვენ მოგვითხრობს: «მე აღვშენდი ხელით ძლიერით,
ათასმა წელმა ჩემს თავზედა განვლო გრიალით.
ამ ათას წელში მრისხანებით მე მბერდნენ ქარნი;
იძროდნენ მათგან ხეობანი, მთანი და ბარნი;
სეტყვა და მეხი მრისხანენი ძლიერად მცემდნენ,
ჩემს შერყევასა და დარღვევას თითქოს სცდილობდნენ.
მაგრამ, ხომ ხედავთ, აწცა მაგრად, ვით ძველად, ვდგევარ,
თუმცა ათასის წლის ხავსითა შემოსილი ვარ.
აქ დაბლა მე ვარ მის მოწამე და იქ მაღლა ცა,
როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა.
ჩემსა წიაღში განისვენებს დიდი თამარი.
თამარ ბრწყინვალე, თამარ ტურფა და მშვენიერი,
პოეზიისა ერის გულში სხივით მორთული,
ივერიისა ძეთ დიდება და სიყვარული.
აქ განისვენებს... მის სახელი—დიდი დავითი.
მათ გვამთ დიდებულთ მე ვარ მცველი, მე ვარ გელათი».

მეორემ წაიკითხა ა. ლექსი:

## სიზმარი.

«დღისა სიცხადით გულ-დაჩაგრულსა
ძილში მეღირსა ტკბილი სიზმარი:
ვნახე, რომ ქვეყნად ჩამოსულიყვნენ
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.

თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი
და ქეთევანსა—წმიდა მოწამის.
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა,
ნიშანი დიდის ქრისტიანობის.

ზეცად აღეპყრათ სამთავეს თვალნი;
საქართველოსკენ იშვერდენ ხელსა
და შეერთებით, ხმა შეწყობილათ
ჰგალობდენ ტკბილსა საგალობელსა:

,,დედაო ღვთისავ, შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდ-ჭირ-ნახული;
შეუნდევ ცოდვა, ნუ აიღებ ხელს!
ლბობიერებით იბრუნე გული.

,,მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გამოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველი დედა,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი.

მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
განუმტკიცებდე ალმა-ფრენასა,
და შენ საქებრათ, სადიდებელათ
ნუ დაუკარგავ იმ ტკბილ ენასა,

რომლითაც თამარ ბრძანებას ცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა,
და ნინო ძიაა შენისამცნებას
შენგან რჩეულს ერს უქადაგებდა.

შემდეგ სასწავლებლის ზედამხედველმა წარმოსთქვა სიტყვა დავით აღმაშენებლის სახელობაზე ახლად დაარსებული ძმობის მნიშვნელობაზე. ბოლოს წაიკითხა ძმობის წესდება, და გამოაცხადა, რომ დღეის რიცხვიდამ ძმობა გახსნილია. ძმობის გახსნის შემდეგ ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა შესწირა ძმობის სასარგებლოდ 100 მანეთი და ბრძანა, რომ იგი ყოველ წლობით შესწირავს ხოლმე ძმობის სასარგებლოდ ას-ას მანეთს. აქვე მრავალი პირი ჩაეწერა ძმობის წევრებად. ბოლოს მგალობლებმა იგალობეს „ღმერთო დაიფარე მეფე“. ყოვლად სამღვდელომ ლოცვა-კურთხევა გარდასცა საზოგადოებას და წაბრძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძანდა შინ. საზოგადოებაც დაიშალა, მხოლოდ ზალაში დარჩენ დეპუტატები, რომელნიც მაშინვე შეუდგნენ კრების თავმჯდომარის ამორჩევას. თავმჯდომარის და საქმის-მწარმოებლის აღრჩევის წინ დეპუტატმა დეკანოზმა დ. ღამბაშიძემ განაცხადა, რომ საქმის მწარმოებლის ადგილზე აღრჩეულ იქნეს ისეთი კაცი, რომელმაც საქმის წარმოება კარგად იცოდეს. მაშინ კრების ჟურნალები კარგად შესდგება და არაფერი შეცდომა არ მოხდება. თორემ დღეს ყველანი სიხარულით იღებენ თავის თავზე ამ თანამდებობას და იმას კი აღარ ფიქრობენ, შეუძლიათ მათ ამ თანამდებობის აღსრულება თუ არა. სამღვდელოებაც თავის მხრით ირჩევს, ვინც მოხვდება. ჩემის აზრით, საჭიროა, რომ მცოდნე კაცი აღვირჩიოთ ამ თანამდებობაზე და შრომისათვის ფულიც დაუნიშნოთ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ სამღვდელოების წინანდელი წლის კრების ჟურნალებში ნახევრობით არ იყო მოხსენებული დეპუტატების დადგენილობა. შარშან სამღვდელოებამ, სხვათა შორის, დაადგინა, რომ სასწავლებლის ეკონომად დანიშნულ ყოფილიყო სემინარიაში კურს დამთავრებული პირი და ჯამაგირად მისცემოდა 300 მანეთი. მაგრამ კრების ჟურნალში დეპუტატების ასეთი დადგენილობა სრულებით არ იყო მოხსენებული.

დეპუტატებმა ხმით აღირჩიეს თავმჯდომარედ ქუთაისის საკრებულო ტაძრის დეკანოზი მ. გაბრიელ ცაგარეიშვილი და საქმის მწარმოებლად მღ. მ. სამსონ ცაგარეიშვილი. კრება საღამოსთვის გადასდეს.

საღამოზე კრების გახსნისათანავე ზალაში შემობრძანდა ყოვლად სამღვდელო გაბრიელი. მათმა მეუფებამ გამოუცხადა დეპუტატებს, რომ მათ შემწეობა აღმოუჩინონ რუსეთის გუბერნიების მოუსავლობით დამშეულ მკვიდრთა, რითაც შეუძლიათ. ყოველ ღვთის-მსახურების დროს, ბრძანა ყოვლად სამღვდელომ, თქვენ უნდა გამოუცხადოთ მრევლთ, რომ შემწეობა აღმოუჩინონ დამშეულთ. ვისაც ფულით არ შეუძლია შეეწიოს, იმას შეუძლია ერთი ან ორი ბათმანი სიმინდი შესწიროს. დეპუტატებმა მოახსენეს მათ მეუფებას, რომ გლეხები მზად არიან შესწირონ სიმინდი, ოღონდ კაცი უნდა, რომ ეს სიმინდი დანიშნულს ადგილზე მიიტანოს და იმედია, რომ ამ საქმეში შემწეობას აღმოგვიჩენენ ადგილობითი მაზრის უფროსები. შემდეგ მათმა მეუფებამ დარიგება მისცა სამღვდელოებას, გადასცა მათ ლოცვა-კურთხევა და წაბრძანდა კრებიდამ.

თავმჯდომარემ სხდომაზე წაიკითხა წესდება იმერეთის სამღვდელოების ემერიტალური კასისა, რომელიც შეადგინა იმერეთის ეპარქიის კანცელარიის მდივანს ბატ. ერასტი თუთბერიძეს. წესდების წაკითხვის შემდეგ შეიქნა ბაასი მასზე, თუ რამოდენად სასარგებლო იქნება ეს კასსა იმერეთის სამღვდელოებისათვის. თავმჯდომარე ურჩევდა კრებას წესდების მიღებას. ამავე აზრის იყო თვითონ შემადგენელი ამ წესდებისა. მმ. დეპუტატებმა, შემდეგ ჯეროვანის მოფიქრებისა, განუცხადეს თავმჯდომარეს, რომ მაკ წესდების მიღება არ შევიძლია ჩვენ, რადგან ჩვენი მარწმუნებლებისაგან ამ საგნის შესახებ არავითარი ნებართვა არა გვაქვსო, ამიტომ საჭიროა, რომ ეს წესდება დაიბეჭდოს ადგილობით გაზეთებში და პატარა წიგნაკებად; ეს წიგნაკები დაურიგდეს სამღვდელოებას და ამასთან მიეწეროს ყველა ბლაღოჩინებს, რომ მათ თავიანთ საბლაღოჩინო მაზრებში მოახდინონ სამღვდელოების კრება, განუმარტონ სამღვდელოებას ემერიტალური კასის სარგებლობა და ამის შემდეგ მოხდეს ამ საგნის

ბიბლიოთეკა

შესახებ მსჯელობა სამღვდელოების დეპუტატების კრებაზეც. ამ დრომდე ყველას შეეძლება თავის აზრი წარმოსთქვას გაზეთებში ამ წესდების შესახებო. თავმჯდომარემ შეიწყნარა კრების განცხადება და ჟურნალიც დაადგინეს ამ საგნის შესახებ. შემდეგ კრება შეუდგა სხვა საგნების განხილვას, მაგრამ არცერთ საგანზე განჩინება არ დაუდგენიათ. კრება დაიხურა ღამის 11 საათზე. მეორე დღეს, 4 ნოემბერს, კრება გაიხსნა ნაშუადღევის 5 საათზე, რადგან თავმჯდომარეს ამ დღეს გაკვეთილები ჰქონდა სხვა-და სხვა სასწავლებლებში და ამ დრომდე ვერ მოიცალა.

საღამოს ძლივს-ძლიობით შეიკრიბა 22 დეპუტატი. კრების გახსნისთანავე წაკითხულ იქმნა სასწავლებლის ფულის შესავალ-გასავლის ანგარიში 1890 წლისა. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ მიაქცია დეპუტატების ყურადღება, რომ ანგარიშში მოხსენებულია ისეთი ხარჯები, რომლებიც ხარჯთა-აღრიცხვით არ იყო დანიშნული დეპუტატებისაგანო. დეპუტატებს ძალიან საწყენად დარჩათ სასწავლებლის სამმართველოს ასეთი მოქმედება. ამ დროს დეპუტატი დეკანოზი მ. დავით ღამბაშიძე ადგა და განაცხადა შემდეგი: მე ეს ანგარიში თავიდამ ბოლომდის წაკითხული მაქვს და მასში არც ერთი ისეთი ხარჯი არ არის, რომ იგი ხარჯთა-აღრიცხვაში არ იყოს მოხსენებული. პირიქით ყველა ხარჯები ძალიან სისწორით არის ნაწარმოები. ამ ეჭვის განსამარტებლად მოიწვიეთ უ. ზედამხედველი ანუ მისი თანაშემწე და ისინი განმარტებენ ამ ეჭვს. თქვენს დროს კრებაში შემოვიდა ზედამხედველის თანაშემწე უ. ივანე დ. გაფრინდაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ სასწავლებლის სამმართველოს არავითარი ისეთი ხარჯი არ მოუხდენია საანგარიშო წელში, რომელიც ხარჯთა-აღრიცხვით არ ყოფილიყოს დანიშნულიო. მაშ რად მოხდა ასეთი აყალ-მაყალი? აი რატომ. თავმჯდომარეს ნაცვლად 1890 წლის ხარჯთა-აღრიცხვისა აელო ხელში 1891 წლის სმეტა და მას ადარებდა 1890 წლის ხარჯს. ამის შემდეგ დეპუტატებმა დაამტკიცეს ანგარიში.

1890 წელში სამღვდელოების კრებამ სთხოვა სასწავლებლის სამმართველოს, რომ მას სამღვდელოების მომავალი კრებისათვის წარედგინა სია საერო წოდების მოწაფეთა და მათგან შემოსული ფულის რაოდენობა 1884 წლიდგან 1890 წლამდე. ამიტომ დეპუტატებმა სთხოვეს თავმჯდომარეს, რომ მას ხსენებული სიები მოეთხოვა სამმართველოსაგან. თავმჯდომარემ, არ ვიცით კი რისთვის, საძნელოდ დაინახა ხსენებულ წლებში საერო წოდების მოწაფეთაგან შემოსული ფულის რაოდენობის შეტყობა და ურჩია სამღვდელოებას, რომ მას მარტო 1890 და 1891 წლებში საერო წოდების მოწაფეთაგან შემოსული ფულების რაოდენობა შეეტყო. მაგრამ დეპუტატები ითხოვდნენ, უსათუოდ ეჩვენებიათ მათთვის ყველა ის წიგნები 1884—1887 წლამდე, რომლებშიაც იწერებოდა საერო წოდების მოწაფეთაგან შემოტანილი ფულები. თავმჯდომარემ კიდევ უარი განუცხადა დეპუტატებს ამ საგნის შესახებ, რის გამო დეპუტატებ შორის შეიქნა გაცხარებული ბაასი. და ბოლოს თავმჯდომარე იძულებული შეიქნა მოეთხოვა სამმართველოსაგან 1884 წლიდამ 1888 წლამდე ყველა კვიტანციის წიგნები და მასთან სიები, თუ რამდენი იყო ამ წლებში საერო წოდების მოწაფენი სასწავლებელში. ყველა შესავალ-გასავლის წიგნები, რაც კი ყოფილიყო სამმართველოში, შემოიტანეს კრებაში, ხოლო სიების წარმოდგენა ზედამხედველმა აღუთქვა კრებას შემდეგი დღისთვის. სამმართველოსაგან წარმოდგენილის წიგნებში არ აღმოჩნდა დაბეჭდილი კვიტანციის წიგნი 1884, 1885 და 1886 წლებისა. მაშინდელს ზედამხედველს საერო წოდების მოწაფეთაგან ფულების მიღების დროს კვიტანცია უძლევია უბრალო ნაგლეჯ ქაღალდზე დაწერილი და არა კვიტანციის წიგნიდგან. ჩვენ ვნახეთ რამდენიმე ცალი ამისთანა კვიტანციებისა, რომლებიც თან მოიტანეს ზოგიერთმა დეპუტატებმა კვიტანციის წიგნთან შესადარებლად, მაგრამ რას შეადარებდენ, როცა ზემოხსენებულს წლებში არ ყოფილა ასეთი წიგნები. მაშინდელს ზედამხედველს კვიტანციის წიგნები დაუბეჭდინებია მხოლოდ 1887 წელში! თუ კი ამ ზედამხედველმა საჭიროდ დაინახა კვიტანციის წიგნის დაბეჭდვა 1887 წელში, რატომ წინა წლებში არა ჰქონდა ასეთი წიგნები, ან რატომ იმ დაბეჭდილ კვიტანციის წიგნში არ სწერდა საერო წოდების მოწაფეთაგან შემოსულს ფულებს, რომელიც მის წინა მოადგილეს ჰქონდა და რომელშიაც ბევრი იყო თავისუფალი კვიტანციები? ამ საგნის შესახებ დიდი ბაასი ატყდა დეპუტატებში და უკმაყოფილება მოისმოდა ბ. ტატიევზედ.

ბიბლიოთეკა

დეპუტატმა დეკანოზმა დ. ღამბაშიძემ ითხო-
ვა სიტყვის ნება და სთქვა: გამოტეხილად
უნდა ვსთქვა, რომ არც ერთ სასწავლებელში
არ შემოდის იმდენი ფული ერის კაცის შვილებისა-
გან მთელს საექსარხოსოში, რამდენიც შემოდის ჩვენს
სასწავლებელში, მაგრამ ამასთან არ შეგვიძლია არა
ვსთქვათ ისიც, რომ ამ ერის კაცების შვილებისაგან
შემოსული ფულების ანგარიში არსად არ არის ისე
დაფარული სიბნელით, როგორც აქ. თქვენ, მამანო
დეპუტატნო, თვითონ შეიტყვეთ ეხლა, რომ სამი
წლის განმავლობაში არა ჰქონიათ დაბეჭდილი კვი-
ტანციის წიგნი, რომელშიაც ეს შემოსული ფული
უნდა ჩაწერილიყო. სასწავლებლის ზოგიერთი ზე-
დამხედველები განგებ აძნელებენ ერის კაცების შვი-
ლებისაგან შემოსული ფულების ანგარიშს. 1868
წელს აქეთ თითქმის სამღვდელოების ყოველ კრება-
ზედ არის ლაპარაკი ამ ფულების ანგარიშის შესახებ
და ამ ანგარიშის შეტყობის ნაცვლად ყოველთვის უსი-
ამოვნება ხდება სამღვდელოებასა და სასწავლებლის
მთავრობის შორის. სასწავლებლის ძველი ზედამხედ-
ველების დროს სამღვდელოება ვერ ეღირსა შეეტყო
სასწავლებელში მოსწავლე ერის კაცების შვილების
სია. ვერ გაგვიგია, თუ რათ ფარვენ სასწავლებლის
ზედამხედველები ამ მოწაფეთა სიას სამღვდელოების
კრებისაგან. სასიამოვნოა, რომ ეხლანდელი ზედამხე-
დველი სასწავლებლისა ბ. იაროსლავი მზად არის
შეგვატყობინოს საერო წოდების შაგირდების სიაც
და მათგან შემოსული ფულების რაოდენობაც.

სასწავლებლის წინანდელი ზედამხედველები ჩვენს
თხოვნაზედ: შეგვატყობინეთ, თუ რამდენი იკრიბება
საერო წოდების შვილებისაგან სასწავლო ფულებით,
ყოველთვის მოგვიგებდენ: სამღვდელოებას არა აქვს
უფლება, რომ ამ ფულების ანგარიში მოგვთხოვოს
და სტატიასაც უჩვენებდენ თავის გასამართლებლად.
სამღვდელოებას, ჩვენის აზრით, სრული უფლება
აქვს, ამ ფულების ანგარიში მოითხოვოს. სამღვდე-
ლოება სრულებით არ თხოვილობს, რომ ეს ფუ-
ლები თავის შეხედულებით და განკარგულებით სას-
წავლებელს დაახარჯოს. არა, მას მხოლოდ ჰსურს
შეიტყოს, თუ რამოდენი ფული შემოდის საერო
წოდების მოწაფეთაგან ყოველ წლობით და რაზედ
იხარჯება ეს ფულები.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ საერო წოდების შვი-
ლებისაგან შემოსულ სასწავლო ფულებს სასწავლებ-
ლის კეთილმდგომარეობას ახმარებენ და რაც გადარ-
ჩება, იმას მასწავლებელნი იყოფენ საჩუქრად. აქ
სწორედ სასწავლებლის წესდების პარაგრაფი არის
მიზეზი სასწავლებლის და სამღვდელოების ურთიერთ
შორის უთანხმოებისა ამ ფულების შესახებ. ხშირად
ყოველად სამღვდელოს მოახსენებენ, რომ ყველა მო-
თხოვნილება სასწავლებლის კეთილმდგომარეობისა
დაკმაყოფილებულია და ითხოვენ დანარჩენი ფულე-
ბის ურთიერთ შორის გაყოფას საჩუქრად. ფულებს
ათას მანეთობით იყოფენ საჩუქრად. შეხედავ, სას-
წავლებლის ოთახების კარები რიგიანად არ იხურება, ბუხ-
რებში ცეცხლი არ ინთება, ერთი სიტყვით სასწავ-
ლებლის კეთილმდგომარეობას ბევრი რამ აკლია,
მაგრამ ამას არ მიაქცევენ ეს ფულები და არ მოახ-
მარეს მისთვის, რომ მასწავლებლებს თვითონ უნდათ
გაიყონ ეს ფულები საჩუქრად.

1867 წელში, როდესაც დამტკიცებული არის
სასწავლებლის წესდება, ხსენებულს პარაგრაფს
ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ დღეს ეს პარაგრაფი
უთუოდ უნდა შეიცვალოს. იმ დროს არავის არ
ჰქონდა სახეში, თუ ამდენი საერო წოდების მოწა-
ფენი მოიყრიდენ თავს ჩვენს სასწავლებლებში. და
უნდა ვსთქვათ, რომ მხოლოდ ჩვენში შემოყავს
გლეხ-კაცობას შვილები სასწავლებლებში, თორემ სხვა-
გან ეს სურვილი ძალიან მცირეა. წინედ სასწავლებლებში
სემინარიელები იყვნენ მასწავლებლებად, რომელთაც 12
გაკვეთილისათვის 420 მ. ჰქონდათ დანიშნული. ამა-
სთანა მცირე ჯამაგირის მიმღებ მასწავლებლებს რომ
ცოტაოდენი გადანარჩენი ფულები, საერო წოდე-
ბის შვილებისაგან შემოსული, კიდეც გაეყოთ საჩუ-
ქრად, არაფერი დამნაშაობა იყო. დღესაც რომ მარ-
ტო სემინარიელ მასწავლებელთა შორის ჰყოფდენ ამ
ფულს, არავითარი უკანონობა არ იქნება; მაგრამ ეხლა
დრო სულ სხვანაირ შეიცვალა. სემინარიელები თით-
ქმის, გამოაძევეს სასწავლებლისაგან და მათ ადგილზე
აკადემიელები დააყენეს, რომელნიც ჯამაგირით და
პენსიით გიმნაზიის მასწავლებლებთან გაათანასწორეს.
ამას გარდა ყოველ ხუთი წლის სამსახურის შემდეგ
ამ პირთ დამატებითი ჯამაგირებს უნიშნავენ და ეს
დამატებითი ჯამაგირები დიდ ძალ ფულს შეადგენს.
ამდენი ფულების მიმღებ მასწავლებლებს რაღა საჩუ-
ქარი ეჭირვება, მერე ისიც ზოგიერთ ღარიბ სასწავ-
ლებელთაგან! თუ გიმნაზიებში არ შეიძლება და უკა-
ნონოთ ითვლება მასწავლებელთ შორის სწავლის
უფლებისათვის შემოსული ფულების გაყოფა, ნუ თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასულიერო სასწავლებლებში ყველაფერი უნდა შეიძლებოდეს! იქნება სთქვას ვინმემ: ალბათ ეპირებათ მასწავლებლებს ფულები, რომ ცხოვრობენო. მაგრამ ეს საჭიროების ბრალი არ არის. კაცის გული გაუმაძღარია. არასოდეს არავინ არ გეტყვის, მე არ მინდა ფულები, საჭირო არ არის, წინააღმდეგ რამდენ მეტს იღებს კაცი, იმდენათ მეტი გაუმაძღრობა ეტყობა.

დროა, ამ საპატიო საგანს ყურადღება მიაქციოს სამღვდელოებამ და საერო წოდების მოწაფეთაგან შემოსული სასწავლო ფულების ყოველგვარი ცნობა და გარემოება მოახსენოს უწმიდესს სინოდს და სთხოვოს, რომ ეს ფულები მთლად სასწავლებლებს მოხმარდეს.

როდესაც ამ საგნის შესახებ ლაპარაკს ჩამოვაგდებდი წინეთ, ყოველთვის მიპასუხებდენ, რომ არ შეიძლება ეს ფულები ან ხაზინაში გაიგზავნოს და ან სამღვდელოების შეხედულებით სასწავლებლებს მოხმარდესო. მაგრამ ეს ტყუილია. ამას წინეთ სასწავლებლის პანსიონი იხურებოდა, რადგან ფულები აღარ იყო ხაზინაში. უწმიდესმა სინოდმა გარდასწყვიტა, რომ პანსიონისათვის საჭირო ხარჯი, ე. ი. ათას ხუთასი მანეთი საერო წოდების მოწაფეთაგან შემოსული სასწავლო ფულებისაგან შევსებული იყო და დღესაც ამ ფულებიდგან ივსება ჩვენი საეკლესიო ხაზინის ნაკლი. აქედან ცხადათ სჩანს, რომ ზოგიერთი ზედამხედველების აზრით, ეს შეუძლებელი საქმე, შესაძლებელი ყოფილა. ჩემის აზრით, სამღვდელოებამ ამაზედ უნდა აირჩიოს ვექილები და მიანდოს მათ, სთხოვონ უწმიდეს სინოდში, რომ საერო წოდების მოწაფეებთაგან შემოსული სასწავლო ფულები სრულიად ჩვენს ღარიბ სასწავლებლებს მოხმარდეს. ეს ფულები თუ სასწავლებლებს მოხმარდა, მაშინ ჩვენ შეგვეძლება, კიდევ მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებელი გავხსნათ და ყველამ გამოვზარდოთ თავიანთი შვილები". მთელმა კრებამ მოიწონა ეს წინადადება და აირჩიეს ვექილებათ თვითონ დეკანოზი დ. ღამბაშიძე, ბლაღოჩინნი მღვდელნი: იოსებ ჭეიშვილი და ნესტორ შავგირაძე, რომელთაც მიანდვეს ამ საგნის შესახებ საქმის წარმოება. ამათვე მიანდვეს გამოკვლევა, თუ რამდენი უნდა შემოსულიყო ეროსკაცების შვილებისაგან სწავლის ფულებისათვის ფულები 1884, 1885 და 1887 წლებში, რომელი წლების კვიტანციის წიგნებიც არის ზედამხედველის ტატიევის დროს დაკარგული.

(დასასრული შემდეგში).

## საქართველოს წესწყობილებათა ისტორიიდამ.

ეკლესიის მნიშვნელობა. საეკლესიო მამულები და ყმები. მამულების შეწირვა. თანამდებობის მემკვიდრეობა. საეკლესიო კრებანი. საერო კრებანი და მათი შედარება კრებასთან ... სეთში და ევროპაში. მეფენი—ბერნი. მაჰმადიანთაგან ჩვენი ეკლესიის დამოკიდებულება. ეკლესიის გავლენა.

ქრისტიანობის გავრცელებას სუყველგან გამოუკლებლად მოჰყვა საზოგადოების ზნეობითი ამაღლება, გაწმენდა სიბილწისაგან, მართლმსაჯულების გაძლიერება და ეკონომიურად გაუმჯობესობა: თუმცა წმ. სახარება ავალებდა მორწმუნეთა მთავრობის მორჩილებას, მაგრამ თვით ქრისტესივე მოძღვრებით კაცს ჩაენერგა ლტოლვილება ძმობის და თანასწორებისადმი; გააპატიოსნა შრომა მუშაკთა და ვალად მიუწყო სიყვარული, ნუგეშისცემა ღარიბთა და დავრდომილთა. ეკკლესია, ქვეყნიური წარმომადგენელი მაცხოვრისა, თვალს ადევნიდა საზოგადოების ცხოვრებას, იფარავდა უსამართლოების მსხვერპლს, აძლევდა თავშესაფარ ბინას, ბედით დაჩაგრულთ და თავის კანონებით არჩევდა და ბჭობდა საქმეებს ნაკლები მკაცრობით და სასტიკობით, ვიდრე ჩვეულებრივი მსაჯულნი. არამც თუ საეკკლესიო კითხვები დაეთმო სამღვდელოების გასარჩევად,—თვით საერო საქმეებსაც მოჰკიდა ხელი სიმართლის აღსადგენად, საწყალთა დასაფარველად. რაც ევროპაში, ვიზანტიაში ანუ რუსეთში უთქვამთ ეკკლესიის მნიშვნელობაზედ, [1]) იგივე ითქმის საქართველოს ეკკლესიაზედაც, რომელიც უფრო მედგრად იცავდა სარწმუნოებას და ეროვნობას. ეკკლესიებთან და მონასტრებთან დაწესებული იყო სასწავლებლები, სადაც იწვრთნებოდნენ მომავალი საზოგადოებრივი მოღვაწენი. საღმრთო წერილი შეადგენდა ქვაკუთხედს მაშინდელი მეცნიერებისას. ამას მოწმობს არჩილ მეფე[2] თავის ნაწერში «საქართველოს ზნეობა»:

რაც ვიცი საღმრთოს წიგნთაგან მაქვს სხვათ არა ვისგან გავიგო
წმინდათა ბრძენთა წერილი არის ნათლისა ებგური,
სულ ნათელ თვალთა ხაგები, არ ურევია აგური.

---

[1]) haureut. h' èglize, et la feudalitè t. VII. pariz. 1860. ср. чичеримъ исторія полит. ученій т. I м. 1874. საერო და სასულიერო პირთა შორის დავა ირჩეოდა ჩვენში ეპისკოპოსის მიერ. кресть. гр. ст. 71.

[2]) «ივერია» 1885 წ. № 12, გვ. 77.

ბიბლიოთეკა

საქართველოს ეკკლესიის ისტორია და მისი დამოკიდებულება ანტიოქიის პატრიარხთან ცოტად თუ ბევრად შესწავლილია პლ. იოსელიანის და მღვ. დ. ჯანაშვილის მიერ (історія груз. церкви, гл. II Пл. Іоселіани და ისტორიული სურათები. სასულიერო წოდება. მღ. დ. ჯანაშვილისა. «ივერია» 1882 წ. № III – V). ამ კითხვას დაუბრუნდები შემდეგ და ახლა კი საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ თუმცა საქართველოს ეკკლესია დამოუკიდებლად აღიარებულ იქმნა ვახტანგ გორგასლანის დროს († 499) და ფარმან მე-VI მეცადინეობით († 557) «იუსტიანეს ნებართვით აღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ დასხდებოდეს ნათესავნი ქართველთანი» [1]), მაინც ანტიოქიის პატრიარხები აქამდის თავიანთ ტიტულში იხსენიებენ საქართველოს ეკკლესიას, როგორც თავიანთ ქვეშევრდომს [2]). ჩვენ ამ წერილში გვაქვს აზრად დაუკვირდეთ შინაურ წესწყობილებას საქართველოს ეკკლესიისას გუჯრების გარჩევით და სხვა ისტორიული მასალების დახმარებით. ჩვენი წერილი არ იქნება სრული და დამთავრებული, რადგან იგივე კითხვა შემდეგ უფრო დაწვრილებით გახდება საგნად ჩვენი გამოკვლევისა.

ჩვენი ეკკლესია თავის მამულით და აქ დასახლებულ მცხოვრებლებით დამოუკიდებელი დაწესებულება იყო. ყოველი «ეკკლესიის საქმე ყმისა თუ მამულისა» ეპისკოპოსების ხელში იყო. ეპისკოპოსი თავის სამწყსოში სამართლის აღმდგენი და მსაჯული იყო. სიტყვა-პასუხის მისაგებლად მოწვეული იყვნენ მოწმები და სარწმუნო წერილები ანუ ფიცი საქმის გარჩევისთვის მიჩნეული იყვნენ საჭირო საბუთებად [3]). მეფეს ეკუთვნოდა უმაღლესი ზედამხედველობა, ზრუნვა ეკკლესიის წარმატებისა და გაბრწყინვებისა. მეფე ირაკლი მე-II-მ შეიტყო, რომ კაწარის წმ. სამების ეპარქია სარჩოდ არ კმარის ეპისკოპოსისთვის, ბრძანება გასცა კაწარის სამწყსო გაეყოთ შუა რუსთველს და ნინო წმინდის ეკკლესიას «თავისის ნებისაებრ» და მეფისათვის მხოლოდ «მოეხსენებინათ» განაჩენი [4]). თუ მეფეს წილად ხვდა ზრუნვა მატერიალურად ეკკლესიის დამკვიდრებისა, კათოლიკოსს, როგორც უმაღლესს მწყემსს, ვალად ედო საეკკლესიო კანონების დაცვა, სასულიერო კითხვების ახსნა და განმარტება. თვით კათოლიკოსი თავმჯდომარე იყო «დიკასტერიისა», რომელიც განაგებდა სამღვდელო და სასულიერო საქმეებს. კათოლიკოსს შეეძლო განკვეთა მღვდლისა, თუ იგი ხელდასხმულ იყო წინაალმდეგ საეკკლესიო კანონთა [5]). ანტონ კათოლიკოზი უჩვენებს თავის უფლების დასაცველად კანონს „წმიდათა მოციქულთა ჰ, ანტიოხიისა ჸჷ და ევესიოსა ჲⲏ". ამის შესახებ აი რას ვკითხულობთ «ქართლის ცხოვრებაში»:

«ქრისტეს აქეთ ჰ63 იქმნა კრება მეექვსე კოსტანტინეპოლსა შინა... ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკკლესიისა საქართველოისათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკკლესიანი, საპატრიაქონი. და იყოს კათალიკოზი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა და აკურთხევდეს მწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარ-ებისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ებისკოპოსთა და სამწყსოსა თვისსა ქართლსა, გამოღმა-გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით წარმოვლით მთისა მას ადგილისათა, სვანეთისა და ჩერქეზის სამზღვრამდის, სრულიად ოვსეთსა და ყოველსა ზემო-ქართლ-სამცხე-საათაბაგოსა. მისთვის მიგვითვლია საქართველოს ეკკლესიანი მას მონებდენ და მის ხელ-ქვეშ იყვნენ და ჴსჯულსა მისსა ერჩდენ და მისგან იმწყსებოდნენ და მიგვიცემია ხელმწიფება შეკრვისა და განხსნისა, რომელი შეკრას კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განჰხსნას ქვეყანასა ზედა ხსნილ იყოს იგი ცათა შინა ხოლო პირველითგან ანტიოქიის კრებისა მიერ განპატიოსნებულ იყო და ამ კრებისა მიერ დაგვიმტკიცებია პატრიარქად. რამეთუ ნუ იქმნებიან მიტროპოლიტნი, ნუცა ეპისკოპოზნი კათოლიკოზის შეუნდობრად, ხოლო უკეთუ ვინმე იკადროს კათოლიკოზის წინააღმდეგობა... ანუ დაიპყრას ეკკლესია და ხარისხი ძალითა, კათოლიკოზის უკითხავად და შეუნდობლად ანუ იკურთხოს მეფე გინა მთავარნი, ანუ მთავარ-ებისკოპოზნი და მიტროპოლიტ-ებისკო-

---

[1]) ქართ. ცხოვ. I, 151. ср. Пл. Іоселіани. ист. груз. цер., 38.

[2]) Древности Восточ. вап. II, стр, 217. о рукописы. сборникъ XVII в. ერთი გუჯრიდან სჩანს, რომ მ-XV საუკ. კიდევ იხსენიებდენ ანტიოქიის პატრიარხს. церк. гудж., 103.

[3]) ჩვენი გუჯრები გვ. 19, 20.

[4]) გუჯრები გვ. 37.

[5]) გუჯრები გვ. 85—6.

ბიბლიოთეკა

პოზნი განიკვეთენ. ხოლო ოდესაც ენებოს შემზადება და კურთხევა მირონისა აკურთხოს თვისსა ეკკლესიასა» [1]).

ამ მოყვანილი სიტყვებიდამ საკმარისად სჩანს, რა უფლება ანუ ხელმწიფება ჰქონდა კათოლიკოზსა. უმაღლესი სასულიერო პირი, კათოლიკოზი საყურადღებო და შესანიშნავ საქმეების გასარჩევად იწვევდა მთელ სამღვდელოებას და იმათ კრებაზედ ირკვევდა ისეთი კითხვები, რომელნიც შეეხებოდნენ სრულიად საქართველოს ეკკლესიას. ამიტომ არა-იშვიათი იყო საეკკლესიო კრების მოწვევა ჩვენს ისტორიაში, როგორც რუსეთში და ევროპაში. [2])

Დავით აღმაშენებელის დროს საეკკლესიო წესწყობილების შესაცვლელად მოწვეულ იქმნა სამღვდელოთა კრება. საქართველოს ეკკლესიას დაეტყო ზნეობითი დაცემა და გარყვნა: «სახლნი ღვთისანი ქვაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს და უღირსთა და უწესოთა, მამულობითა უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, არა კართა მწყემსებრ შესრულნი, არამედ ავაზაკებრ ერდოთა შესრულნი». მათგან დაყენებული ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი წაავგვანდნენ თავიანთ მფარველებს: «უსჯულოებასა წვრთიდეს მათ ქვეშე ყოველთა... და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა. ამ «წყლულების კურნებად» შესდგა კრება. საყურადღებოა, ვინ იღებდა მონაწილეობას კრებაში? კრებაზედ დაესწრნენ გარდა სამღვდელო პირთა საერო მეცნიერნიც, როგორც მოწმობს მატიანე: «სამეფოსა თვისსა კათოლიკოზნი, მღვდელმთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღვარნი და მეცნიერნი შემოიკრიბნა წინაშე მათსა... და მრავალ დღე გამოწვლილვითა და ფრიადითა შრომითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცდომილი განმართეს და კეთილწესიერება ყოვლითურთ დაამტკიცეს. [3]) უღირსნი დაითხოვეს და შეაჩვენეს და ძეგლი სარწმუნოებისა აღწერეს თანახმად ათოთრმეტთა კრებათა.

Კათოლიკოზი და ეპისკოპოზნი იღებენ მონაწილეობას გიორგი მე-V ბრწყინვალეს «ძეგლის

[1]) ქართ. ცხოვ. I, 171—172. თეიმურაზის ხელთნაწერი ამას უმატებს, რომ აგარიანთა შიშის გამო გზა ანტიოქიაში შეიკრა, ამიტომ თეოფილაქტე პატრიარქმა ანტიოქიისამ შეიწყნარა თხოვნა ქართველთა მოციქულთა და საეკკლესიო კრებაზედ დაადგინა, რათა საქართველოს კათოლიკოზი დამოუკიდებლად აღვიარებულ იქმნას.

[2]) латкинъ. земскiе соборы.

[3]) გუჯრები. ბიჭვინტა.

დადებაში» [1]). ესრედ წოდებული «კათოლიკოზთა კანონები» შესდგნენ აგრეთვე საეკკლესიო კრებაზედ. გიორგი მე-III დროს (როსტომის ძმა) შესდგა სამღვდელო კრება. «ჟამებთა ამათ შინა, ვითარცა ვიხილავთ იქმნა განტევება ცოლთა, კლვა კაცთა და იდუმალ ტყვის ყიდვა და უჯერონი სჯულსა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა. ამისთვის შეკრბენ ქართლსა კათოლიკოზი მალაქია, აფხაზთა კათოლიკოზი ევდემონ და ყოველნი ეპისკოპოსნი ესენი იყვნენ: ქუთათელი სიმონ, გენათელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი ფილიპპე, ცაგარელი კოზმან, ხონელი ზაქარია, ნიკორწმინდელი იაკობ, ჩაისელი კირილე. ამათ განაჩინეს მოქმედთა მათთვის ჯეროვანი შერისხვანი და დაწერნეს და შეაჩვენნეს მომქმედნი მისნი, ვითარცა გვაუწყებს აღწერილი მათი» [2]). ჩვენმიერ დაბეჭდილი ბიჭვინტის «გუჯარი», [3]) რომელიც ავსებს საეკკლესიო კანონებს, აგრეთვე შემდგარია სამღვდელო კრებაზედ თანადასწრებით კათოლიკოზთა: მალაქია, ევდემონ, ეფთქვიმე, მალაქია, მაქსიმე, ზაქარია, სვიმეონ, დავით. ამ გუჯრის შესახებ ჩვენი აზრი წარმოვსთქვით შენიშვნაში და ამიტომ აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია განვიმეოროთ იგივე.

Საეკკლესიო კრებაზედ ესწრებოდნენ მეფე, კათოლიკოზი, მიტროპოლიტნი, არქიეპისკოპოზნი, ეპისკოპოზნი, მეუდაბნოენი, თავადნი, აზნაურნი, და ერის კაცნი. ამ გვარი საეკკლესიო კრებანი იმერეთში ყოფილა 3, სამეგრელოში 1, გურიაში 1 და ქობულეთშიაც ერთი [4]). გარდა ამისა სამღვდელოება იღებდა მონაწილეობას საერო კრებაზედაც. თამარ მეფეს რომ ურჩევდენ საქმროს, თანასწორად მიიღეს შრომა კრებაზედ საერო და საეკკლესიო პირთა [5]). კათოლიკოზი ესწრებოდა მეფის დაგვირგვინების დროს. მეფე კონსტანტინე ეკურთხა მეფედ

[1]) ქართ. ცხოვ. I, 211—212. ძეგლის წერა დავით აღმაშენებელისა ფრიად შესანიშნავი ნაშთია. ნახე «საქართველოს სამოთხე» გვ. 518—528. შეად. Iоселiани. ист. гру. цер. გვ. 73 და ბაქრაძე. ვახუშტის ისტორია გვ. 174—7.

[2]) законы царя Вахтанга, გვ. 82, შენ. შეად. „ძეგლისდება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი. ნ. ურბნელისა. ტფილისი. 1890 წ. ვახუშტის ისტორია. გამოც. ბაქრაძისა გვ. 279.

[3]) ქართ. ცხოვ. II, 196. н. d. l. g. II, I. 265.

[4]) Пурцеладзе. «значенiе гуджаръ» გვ. IV. (груз. цер. грамоты).

[5]) ქართ. ცხ. I, 233—5. 292.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანადასწრებით ქართლის კათოლიკოზ-ეპისკოპოსთა, მთავართა, და დიდებულთა. აგრეთვე ეკურთხა მცხეთას მეფედ გიორგი მე.IX [1]).

მეფე ერეკლე I დროიდგან საერო მმართველობამ შეარყია საეკკლესიო წესდებულების დამოუკიდებლობა. მემატიანე გვაუწყებს, რომ «ამის ჟამამდე არა იცვალებოდენ კათოლიკოზი და ეპისკოპოზნი საყდართა თვისთაგან. ამან შესცვალა და დახსნა თვისნი კათოლიკოზად დიასამიძე იოანნე (ნახე «გუჯრები» გვ. 24), მთავარ-ეპისკოპოსად ნაცლიშვილი, თბილელად ყაფლანისშვილი დომენტი, მანგლელად ჯავახიშვილი იოსებ [2]). კათოლიკოზი უნდა ამორჩეულიყო სამღვდელოთა კრების მიერ, მაგრამ ჩვენმა მეფეებმა ეს ავტონომია მოუსპეს და თითონ ნიშნავდენ კათოლიკოზებს: გიორგიმ დასვა კათოლიკოზად ნიკოლოზი, ერეკლემ (I) «განაყენა» იგი და დასვა იოანევე. ვახტანგმა (მე-VI) ისევ ნიკოლოოზს დაუბრუნა კათოლიკოზობა [3]) ამ გვარმა მეფის საქციელმა გამოიწვია შეთქმულობა ეპისკოპოსთა და არქიმანდრიტთა და არ შეიწყნარეს ნიკოლოზი, «რამეთუ არს სოფლიერი და ევდემოს დაუდვეს უმეცრება და გამორჩევით დაადგინეს ნებითა ვახტანგისათა კათოლიკოზად დომენტი ძე ლევანისა, ახლად მოსული რუსეთიდამ [4]). ასეთივე ხასიათი მიეცა პატრიარხის ამორჩევას ვიზანტიაში კომნენების დროს: მეფის გამოცვლა იწვევდა პატრიარხის გამოცვლასაც [5])

Თუმცა სამღვდელოება მეფის ხელმწიფების გავლენის ქვეშ მოექცა, მაინც იგი არ ჰკარგავდა მხედველობიდან თავის მოვალეობას, ამხელდა ცუდ ზნე-ჩვეულების შემოტანას და გარყვნილებას. მეფე დიმიტრი თავდადებულის დროს მაღალწოდებას შემოეპარა ორ-ცოლიანობა. ამის გამო ნიკოლოოზ კათოლიკოსმა ამხილა მეფე დიმიტრი და სხვანი ამ ცოდოში მონაწილენი და რომ ვერა გააწყო რა, ხელი აიღო თავის კათედრაზედ და სამაგიეროდ

[1]) ibid. I. გვ. 372, 377, 425. II, 10,21, 52,80 და სხვ.

[2]) ib. II, 68.

[3]) ib. II, გვ. 62, 67, 71. შეად. Акты кавк. арх. ком. I, 736.

[4]) ქართ. ცხოვ. II, 71. შეადარე «გუჯრები» გვ. 7 შენიშვნა.

[2]) ჩემი Визант. общество и греческая церковь въ эпоху комненовъ.

აკურთხა მეფის ჯვარის მტვირთველი აბრაამი, აგრეთვე ათონიდამ მოსულმა ბერმა ვასილმა გაჰკიცხა მეფე და თავადნი ქრისტიანული ზნის დარღვევისათვის [1]) ეკკლესია ცდილობდა ცრუ მორწმუნოების განდევნას იმ გვარადვე, როგორც ზნეობის აღდგენას. საყურადღებოა ამ მხრივ აწ დაბეჭდილი „მკითხაობის მუჩალგა» [2]). მკითხავი პირობას აძლევს ნეკრესელს, რომ მკითხაობაზედ ხელი აიღო და თუ კიდევ მას მოხსენდება მის მკითხაობა ცეცხლში დაწვით დასაჯონ. ამ წერილის დასასურათებლად მოვიყვანთ «სჯულის კანონიდან წმ. იოანნე მმარხველისა და მე-VI კრებისა», რომელიც იყო 680—682 წ. ეს სჯულის კანონი ნაპოვნია სტროევის მიერ რუსეთში და ახლა სამეცნიერო აკადემიის მუზეუმის საკუთრებას შეადგენს. § 53 ამ კანონებისა გვაუწყებს შემდეგ ეს: «სჯულის კანონს ეწინაალმდეგებიან იგინი, რომელნიც მისდევენ მისანთა და გრძნეულთა, ლეგეონთა და ასისთავთა, რომელნი ბედსა უთხრობენ, შობის დღესა და მარტის თვესა იზმნიან, კალანდობენ, შეულოცვენ; რომელნი არიან ღრუბელთა მატებელნი, ქერთა მყრელნი და ბჭასა მხედველნი; რომელნი მუცლით საუბრობენ და ცეცხლსა აგზნობენ, მსგავსად წარმართთა, სახლის წინ, ყრმათა სახტუნებლად; რომელნი ითვისებენ საწარმართო სახელწოდებას, რომელ არიან: აპოლონ, არტემი, ბუჩი, გაცი, მაიმ, დაგეონ და არმაზ [3])».

Ეკკლესიის ზრუნვას შეადგენდა, გარდა ზნეობითი ამაღლებისა, მატერიალურად გაუმჯობესობა თავისი სამწყსოსი. მის მოვალეობად ითვლებოდა დაემყარებინა საზოგადოებრივი ძალღონით საერთო ეკონომიური კეთილწყობილება. საშუალო საუკუნოებში შესდგა corpus juris canonici [4]) საეკკლესიო კანონები იუსტინიანეს საერო კანონების მსგავსად (corpusjuri), რომლის მიზანი იყო განეხორციელებინა ქვეყნად «სასუფეველი ცათა». თუმცა კანონისტები თვალსაჩინოდ ლარს აკლებდნენ «ჩემის» და «შენის» შორის (meum и tuum) და უარყოფდენ

[1]) ქართ. ცხოვ. 416—418.

[2]) «გუჯრები» გვ. 80.

[3]) ბაქრაძე ვახუშტის ისტორია გვ. 143. Brosset Hist. d. la g. 1, 303, note. და ჩემი кулотъ огня и предковъ у грузинъ.

[4]) исторія полит. экономіи. Дровъ Ингрэмъ, перводъ р. проф. Янруса.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩოს ერთობას, მაგრამ ზრუნვა ღარიბისთვის, შემწეობა და დახმარება ნებაყოფლობაზედ არ იყო მივარდნილი: იგი აღიარებული იყო მოვალეობად — debitum legale. შრომას, მეტადრე მიწის მუშაკობას და ხელოსნობას აყენებდენ მაღლა აღებ მიცემობაზედ, რომელიც ღვთისგან «აკრძალულია» deo placere non potest». [1]) ესეთივე შეხედულობა შეითვისა ჩვენმა ეკკლესიამ ღარიბთა და დავრდომილთა შესახებ. დასავლეთ ევროპაში ეკკლესია გახდა თავშესაფარ ადგილად უბინაო და უწყალო ხალხისთვის. საქართველოშიაც მონასტრები და ტაძრები ასახლებდნენ თავიანთ მიწა-წყალზედ უთვისტომო, უმამულო მოსახლკარეს. საბატონო ყმები იპარებოდნენ და გადადიოდნენ საეკკლესიო მამულზედ, რადგან ეკკლესია უფრო კაცობრიულად ექცეოდა, შეღავათს აძლევდა ხარჯის გადახდაში, ანთავისუფლებდა ან მცირე გადასახადს ადებდა მამულის სასარგებლოდ. თვით მეფენიც და ბატონებიც საეკკლესიო ყმებს ანთავისუფლებდნენ მომატებული ხარჯისაგან და ამით აიხსნება გლეხის სურვილი ეკკლესიის ყმად დაწერილიყო [2]). შემძლებელნი პირნი აშენებდნენ ეკკლესიებს, სწირავდნენ მამულს მონასტრებს და თითონ ანუ მისი ძმა, შვილი ყმად ეწერებოდნენ [3]). ეკკლესიის ყმა რჩება თავისუფალ მომქმედ პირად: მას შეუძლიან მოწმად ყოფნა, ვალის აღება, მამულის გაყიდვა ეკკლესიის ნება-რთვით. [4]) ეკკლესიის მამულზედ სცხოვრებდნენ გარდა თავისნებით შეფარებულთა, აგრეთვე ტყვედ ნასყიდი ანუ შესყიდული მებატონისაგან. თუმცა ეკკლესია უკრძალავდა ტყვეთა ვაჭრობას, მაგრამ თითონვე მიიღო მონაწილეობა ამ აღებ-მიცემობაში იმიტომ, რომ ეკკლესიის მფარველობის ქვეშ გლეხი დაიმედებულიყო თავის კეთილდღეობაში და თავისუფლებაში.

(შემდეგი იქნება).

[5]) Boches. geshichte deg National-oekonomie ln deutschlaud, стр; 5.

[6]) ჩემი «ბატონყმობა» 53-6. შეად. «გუჯრები» გვ. 1-2, 26, 28 და 31.

[1]) «გუჯრები» გვ. 3. цер. гудж. 19, 57.

[2]) «გუჯრები» გვ. 5. кресть. гр. 29,56.

*
* *

სხვისი თუ რამ მოგეწონა,
შურით გული გაგისკდება,
ამას გულშიც ვერ დაიტევ,
ხშირად კიდეც წამოგცდება.

—

უნიჭობას მით გატყობენ:
ვერც სწერ და ვერც ლაპარაკობ,
შენი თავი შენვე მოგწონს,
მისთვის ქებით ვერ შეგამკობ...

—

იბერები, იფუყები,
თავი მოგწონს რაღაც დიდად,
ამით გინდათ მოგიწონონ
და ჩაგთვალონ რაღაც დიდად?!

—

ვისაც ჭკუა და გონება
უჭრის, ისე როგორც კაცი,
მათგან ტრაბახს თავმომწონეს,
სულაც არ დევს კაცის ფასი...

—

მაშ ვინ დაგრჩა ეგრე ბრიყვი...
ანუ ვილას ებერები?!
თვითონ ბრიყვობ მაგით, ძმაო,
პირში ვერ მოგეფერები.

—

თუ რომ გინდა კაცად გიცნონ,
კაცურ ქცევას ნუ გადუხვევ,
თორემ შენი ბერვა-ფუყვით
ვერ ვის თვალებს ვერ აუხვევ.

რაჟდენ საჯაოხელი.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ.

გაზეთს „Руск. Вѣд.“-ში დაბეჭდილია წერილი გრაფინია ს. ტოლსტოისა. ავტორი სთხოვს სხვა გაზეთების რედაქციებსაც წერილის გადაბეჭდვას და ჩვენც ვასრულებთ ამ თხოვნას. აი თვით წერილი:

«მოწყალეო ხელმწიფევ! ქველმოქმედება და ფულად შეწირულება დამშეულთა სასარგებლოდ ისე გაძლიერებული, რომ შემნელდება კიდეც კვლავ ამ საგანზე ლაპარაკის ჩამოგდება. მაგრამ ხალხის უბედურებაც გაცილებით იმაზე მეტი აღმოჩნდა, რაც ეგონათ, და აი კვლავ საჭირო ხდება შეწირულებათა გაღება და თხოვნა და კიდევ თხოვნა.

მთელი ჩემი ოჯახი აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდა, რათა დაეხმაროს გაჭირვებულს ხალხსა. ჩემი ქმარი, გრაფი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი ორის ასულით ამ ჟამად დანკოვის მაზრაშია და სცდილობს, რაც შეიძლება მეტი გამართოს უსასყიდლო სასადილოები, ანუ, როგორც თვით გალმობიერებულმა ხალხმა უწოდა, «გლახაკთა გასაკითხები». ორი ჩემი უფროსი ვაჟიშვილი, რომელნიც «წითელის ჯვრის საზოგადოებას» ემსახურებიან, ჩერნსკის მაზრაში გულმოდგინედ ირჯებიან გაჭირვებულთა დასახმარებლად. მესამე ჩემი ვაჟიშვილი სამარის გუბერნიაში წავიდა შეძლების დაგვარად უსასყიდლო სასადილოების გასამართად.

მე იმედებული გავხდი ოთხის წვრილის შვილით მოსკოვში დავრჩენილიყავ და ის-და შემიძლიან, რომ ჩემის ოჯახის წევრებს აქედგან გავუგზავნო დახმარება, მაგრამ ეს დახმარება ძლიერ ბევრი და ბევრია საჭირო! ჯერმო ეცთა არ მახსოვთ ასეთ ძლიერ გაჭირვების დროს ხალხის გამძლობა, მაგრამ ამავე დროს ყოველ დღე, როცა კაცი თავისს სახლში თბილად არის და ან ლუკმა-პურსა სჭამს, უნებლიედ საყვედურსა გრძნობს იმის გამო, რომ აი, მე რომ აქა ვარ, სხვა ვინმე ამავე დროს შიმშილით სულსა ლევსო. ჩვენ ყოველთ, ფუფუნებაში მცხოვრებთ, არ ძალგვიძს, ვუყუროთ მციროდენს ტანჯვასაც ჩვენის შვილებისასა და ნუ თუ იმ საზარელს სანახავს-ვი ავიტანთ, რომ დასუსტებულს, ფერსა და ღონე მიხდილს დედებს სიმშილისა გამო შვილები ხელში ეხოცებათ და მოხუცნიც უსაჭმლობისავე გამო სულსა ლევენ.

ყოველივე ეს ჩვენმა ოჯახმა უკვე ჰნახა თავისის თვალით. აი სხვათა შორის რასა მწერს ჩემი ქალი დანკოვის მაზრიდგან ადგილობრივ ზემამულეთა მიერ გამართულ უსასყიდლო სასადილოების შესახებ:

«ორი უსასყიდლო სასადილო ვნახე. ერთი მოთავსებულია რაღაც ბატარა ქოხში და ერთი მქვრივი ადამიანი უმზადებს საჭმელს 25 სულსა. როდესაც შევედი, ყმაწვილები ისხდნენ სადილად, გახუმებულიყვნენ, კოვზები ეჭირათ ხელში და „შჩი“-სა ხვრეპავდნენ. აჭმევენ თურმე ხან «შჩი»-ს, ხან სხვა შეჭამანდსა და ხან კიდევ ცივს ჭარხალსა. იქვე იყო რამდენიმე ბებერი ადამიანიც, რომელნიც თავიანთს პურს უცდიდნენ. ერთს მათგანს დავულაპარაკე და, როცა თავისი ამბავი დაიწყო, თითონაც ატირდა და სხვებიც აატირა. საწყლებს ეს სასადილო-და უდგამს სულსა. სახლში სრულიად აღარა გააჩნიათ-რა და სადილობამდე მაინც კიდევ მშივრები არიან ხოლმე. დღეში ორს პურს აჭმევენ და კაცის თავზე თვეში 95 კ.—1 მ. 30 კ. ეხარჯებათ“.

მაშასადამე, 13 მანათით შეიძლება ერთის კაცის გამოკვება ახალ მოსავლამდე. ხოლო გაჭირვებული ხალხი ბევრია და დახმარებაც ძლიერ ბევრი და ბევრია საჭირო. მაგრამ ნუ შევდრკებით ამ გაჭირვების წინაშე.

თუ ჩვენ, თუ ყოველი ჩვენგანი გამოჰკვებავს ერთს, ორს, ასს, ერთი სიტყვით, ვისაც რამდენის გამოკვება შეუძლია,—სინიდისი დაგვიმშვიდდება. ღმერთია მოწყალე, ამნაირი წელიწადი აღარ მოგვიბრუნდება!

და აი, გბედავ და მივმართავ ყველას, ვისაცა ჰსურს და შეუძლიან. დაეხმარნენ ჩვენს ოჯახს ამ საქმეში. რაც-კი რამ შეწირულობა მოგვივა, ყველაფერს იმ უსასყიდლო სასადილოებზე დავხარჯავთ, რომელსაც ჩემი ქმარი და შვილები ჰმართავენ.

შემომწირველთ შეუძლიანთ თავიანთი შეწირულებანი შემდეგის ადრესებით გამოგზავნონ:

1) Гр. Татьянѣ Львовнѣ Толстой, Рязанской губ., Данковскаго уѣзда, чернявская почтовая станція, въ с. Бегичевку, имѣніе Ив. Ив. Раевскаго.

2) Гр. Сергѣю Львовичу Толстому, Тульской губ., Чернскаго уѣзда, с. Никольское-Вяземское.

3) Гр. Львy Львовичу Толстому, Самарской губ., Бузулукскаго уѣзда, въ пегровское волостное правленіе.

4) Гр. Софіи Андреевнѣ Толстой, Москва, Долго-Хамовническій пер., 15.

თუ ვინმე ყურად იღებს ჩემს სიტყვას, მადლობას მიიღებს არა ჩემგან, არამედ იმ უბედურთაგან, ვინც გამოიკვებება ქველ-მოქმედ კაცთა წყალობით.

გრ. ს. ტოლსტოისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბები და შენიშვნები.

კიევის მიტროპოლიტის პლატონის გარდაცვალების შემდეგ თბილისის ადგილობითი გაზეთებმა ერთხმად გამოაცხადეს, და როგორც სწერდენ, თითქო ნამდვილი წყაროებიდგანაც შეიტყეს, რომ კიევის მიტროპოლიტად უკვე დაინიშნა საქართველოს ექსარხოსი, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პალლადი და საქართველოს ექსარხოსად—ვარშავის მთავარ-ეპისკოპოსი ლეონტიო. ჩვენ მაშინვე საზოგადოებას ვაცნობეთ დაგამოვაცხადეთ, რომ ამ საგნის შესახებ არავითარიმე განკარგულება არ იყო მოხდენილი უმაღლესი მთავრობის მხრით. დღეს როგორც ნამდვილად შეტყობილია, კიევის მიტროპოლიტის ადგილზე გარდაყვანილ იქნა მოსკოვის მიტრაპოლიტი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი იოანნიკე და მოსკოვის მიტრაპოლიტად დაინიშნა ვარშავის მთავარ-ეპისკოპოსი ლეონტი.

ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა და დღესაც ძალიან გვიკვირს ზემოხსენებული გაზეთების ასე მოუფიქრებლად მოქცევა. ნუ თუ ამ გაზეთების რედაქციები არა გრძნობენ, რომ ამისთანა ცრუ ხმებით დიდი შეურაცხება მიაყენეს აღნიშნულ პირთ. რა სასიამოვნო იყო ასეთი ცრუ ხმები ამ პირთათვის? ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ასეთი უსაფუძვლო ხმები და მათზე დამყარებული მისალოცავი წერილები ძალიან საწყენად დაურჩათ ხსენებულ პირთ. თუ კი ზოგიერთი გაზეთები ასე მოუფიქრებლად ავრცელებენ ჭორებს ამისთანა საპატიო საგნების შესახებ, სხვა პირთა და საგნებზე წერის დროს რაღა დაკვირვებას და მოფიქრებას უნდა მოველოდეთ მათგან?! ბატონებო, მიაქციეთ ყურადღება თქვენს მოვალეობას და ნუ უკარგავთ ბეჭვდითი სიტყვას მნიშვნელობას ხალხის თვალში!.

***

უმაღლესი მმართებლობის განკარგულებით სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებულნი არიან არა მარტო სამრევლო სკოლების მასწავლებელნი, არამედ წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელნიც, თუ მათ სკოლაში 15 მოწაფეზე ნაკლები არა ჰყავსთ და დღეში აძლევენ ოთხ-ოთხ გაკვეთილს.

***

როგორც ნამდვილად შევიტყეთ, სასულიერო მთავრობის ნება-რთვით ქუთაისში საკვირაო სკოლას ხსნიან ქალები მარიამ ო. ვარდოსანიძის ქალის თაოსნობით.

***

უმაღლესი მმართებლობისაგან გამოცხადებულია, რომ ყველა საკვირაო სკოლები დღეიდგან გადავიდნენ სამღვდელოების უწყებაში და ზედამხედველობაში.

***

21 ნოემბერს, დღით კვირას, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შენობაში კრება ჰქონდათ დავით აღმაშენებლის სახელობაზე გახსნილი ძმობის წევრთა. კრებამ აღმოირჩია ძმობის რჩევა. რჩევის თავსმჯდომარედ აღრჩეულ იქნა სასწავლებლის ზედამხედველი ბ. ალექსანდრე ა. ისროსლავი, მის თანაშემწედ ქუთიასის მთავარ-ანგელოსის ტაძრის დეკანოზი მ. რაფიელ გიგაუროვი, ხაზინადრად სასწავლებლის ინსპექტორი ბ. ი. დ. გაფრინდაშვილი, საქმის მწარმოებლად მასწავლებელი სასწავლებლისა ბ. ა. ს. ბენაშვილი, ხოლო რჩევის წევრებად: ქუთაისის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვ. ბლაღ. მ. ნესტორ ყუბანეიშვილი, მასწავლებელნი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა ბბ. ანთიმოზ ბ. გორგაძე და ამბაკო დ. სულაქველიძე.

***

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთ გადასწყვიტეს, რომ 1 ოქტომბრიდამ ამა წლისა თავის თთვიური ჯამაგირისაგან გადადვან თითო პროცენტი რუსეთის ზოგიერთი გუბერნიების დამშეულთა სასარგებლოდ.

***

იმერეთის ეპარქიალური კანცელარიის მოსამსახურე პირთ დაუდგენიათ, რომ 1 ოქტომბრიდამ ამა წლისა თითო პროცენტი გადადვან თთვიური ჯამაგირისაგან რუსეთის გუბერნიების დამშეულთა სასარგებლოდ.

***

ეროვნული ბიბლიოთეკა

40 მ. კაკია კაპანაძის ძემ დიმიტრიმ ტრაპეზის გადასაფარებელი, ღირ. 10 მ. იმავე დიმიტრი კაპანაძემ საცეცხლური ფრაქისა, ღირ. 2 მ. ამავე დიმიტრი კაპანაძის დედამ სოფიომ კაკია კაპანაძის მეუღლამ 1 კონდაკი, ღირ. 3 მ. და 10 კ. ბიჭია ყანჩაველის მეუღლამ მარიამმა 1 ხელი დაფარნა, ღირ. 5 მ. ამავე ბიჭია ყანჩაველის მეუღლამ 2 პატარა ხატი ღვთის-მშობლის და მაცხოვრისა, ღირ. 1 მ. 25 კ., დარისპან ივანეს ძემ კაპანაძემ 2 კანდელი, ღირ. 1 თუმნის და 4 აბაზისა, ივანე იოთამის ძემ კაპანაძემ შემოსა ძველი სახარება, რომლის გაკეთება დაჯდა 10 მ. და 50 კ., ტიმოთე ალფეზის ძემ კაპანაძემ 1 ჯვარი, ღირებული სამი მანეთისა".

*
* *

ლეჩხუმის მაზრის სოფელს ნარშერიდგან გვწერენ: წარსულს ოქტომბრის თთვის 30 რიცხვს ს. ნარშერში აკურთხეს ახალი ეკკლესია ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის სახელობაზედ. ეკკლესიის კურთხევა მინდობილი ჰქონდა გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო გრიგორისაგან მოწამეთის არქიმანდრიტს მ. ბესარიონს, რომელმაც, შემდეგ ეკკლესიის კურთხევისა, შემდეგი სიტყვით მიჰმართა შეკრებილს საზოგადოებას:

საყვარელნო ძმანო!

«პირველად მოგილოცავთ ამ სავანის აღშენებას, რომელიც დღეს ვაკურთხეთ გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსის გრიგორის მონდობილებით და შენდობითა ჩემის მწყემსთ-მთავრის, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის გაბრიელისათა. სასიხარულოა, რომ თქვენ მიუხედავათ თქვენის სიღარიბისა აღაშენეთ ამისთანა მშვენიერი ტაძარი. ამიტომ აღვავლენ უფლისა ღვთისადმი სამადლობელს ლოცვას, რათა ეს თქვენ მიერ აღშენებული სავანე დაიცვას უფალმა უკუნისამდე მტკიცედ და შეურყევლად, ხოლო თქვენ, მშრომელნი და გულს-მოდგინენი მრევლნი ამა სავანისანი გაკურთხოსთ მანვე უფალმან ღმერთმან მეოხებითა და შუამდგომელობითა ყოვლად წმინდისა ღვთის-მშობელისათა და განაგრძოს ყოველი თქვენი კეთილი ცხოვრება მრავალსა ჟამსა, ხოლო მერმისა მას საუკუნესა მოგანიჭოსთ დიდება და პატივი სასუფეველსა შინა ღვთისასა.—საყვარელნო ძმანო, ვინაიდგან მოვალეობა ჩემი ითხოვს ამ შემთხვევაში გითხრათ მცირედი რამ სიტყვა, სულიერი დარიგება, ამისათვის მე მსურს აგიხსნათ, რაჲ არს ეკკლესია, რომელიც თქვენ აღაშენეთ და როგორ უნდა ისარგებლოთ მისგან: ეკკლესია არს ღვთის ტაძარი, შესაკრებელი ქრისტიანეთათვის საზოგადო სალოცავად და ღვთის სადიდებელად, საიდუმლოთა შესასრულებლად და წმ. ზიარების მისაღებად. მაშასადამე უნდა ვისარგებლოთ კიდეც ტაძრით. ყოველს კვირაუქმე და დღესასწაულ დღეებში უნდა იაროთ ეკკლესიაში ყველა ოჯახებიდგან და მოისმინოთ მას შინა საღმრთო წირვა-ლოცვა გულსმოდგინედ და სასოებით, და ვედრებითა ღვთისადმი და წმიდათადმი ღირსთა, კეთილდღეობისათვის თქვენისა და საუკუნო ცხოვნებისათვის; გიყვარდესთ, ძმანო, ღმერთი და მოყვასი თქვენი, შეინახეთ წმიდათ და შეუცვალებლად კვირა-უქმე და დღესასწაული დღეები, მარხვა, ამასთან—ნათესაობა და მირონობა, შეიწყალეთ ქვრივი, ობოლი და გლახაკი, პატივი ეცით მოძღვარსა და კრებულთა, მსახურთა ეკკლესიისათა, აგრეთვე მშობელთა თქვენთა, ოთხგზის აღიარებდეთ აღსარებასა ოთხსა მარხვასა შინა, ანუ ერთგზის მაინც მიუცილებლად დიდს მარხვაში და ეზიარებოდეთ წმ. საიდუმლოთა; მოერიდეთ ცოდვათა და ყოველთა სულის მავნებელ საქმეთა და მოიქმედეთ ყოველი კეთილი საქმენი. აი რა სარგებლობა უნდა გამოვიტანოთ ეკკლესიისაგან. ჩვენ ვალდებულნი ვართ ყოველნი ქრისტიანებრივი მოვალეობანი აღვასრულოთ და მაშინ ვიქმნებით ჭეშმარიტნი ღვთის სათნონი ქრისტიანენი და აღმაშენებელნი ღვთის ტაძრისანი სასარგებლოდ სულისა ჩვენისა—ამინ.

გურია-სამეგრელოის ეპარქიის მღვდლის ლუკა ქიშკარიანისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მამაო რედაქტორო! ამ დროებით მარტვილის სამღვდლოჩინო ოლქის ეკლესიების მრევლნი თავის მღვდლოჩინის შეგონებით დიდს ყურადღებას აქცევენ თავიანთ ეკლესიების მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეს—ისინი ხშირად სწირავენ სხვა და სხვა ნივთებს და მით ამკობენ თავიანთ ეკლესიებს, მაგალითებრ, ხუნწის ღვთის-მშობლის ეკლესიას შემოსწირეს: ამ ეკლესიის მღვდელმა ნიკოლოზ ქიშკარიანმა—ორი ხელი სამღვდელო შესამოსელი ღირებული 70 მ., სიმონ გახოკიძემ—ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა და ლამგარი, ღირ. 40 მ., დიმიტრი ბერიამ—სანაწილე, ღირებ. 8 მ., გლახუა და ბაკურა ფაილოძეებმა—1 რწყილი დროშა—30 მ., სოფიო გოცირიძის ასულმა—კანდელი—2 მ., მაია გეგეჭკორის ასულმა—კანდელი—2 მ., ევთიმე კირტაძემ—კანდელი—2 მ. და სტეფანე გახოკიძემ—1 კრეტსაბმელი—3 მ., სრულიად შემოსწირეს ნივთები ღირებული 157 მ., გთხოვთ მადლობა გამოუცხადოთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით ზემოხსენებულ პირთა და მასთან აცნობოთ მათ, რომ ესრეთის მათის შეწირულობისათვის ისინი ადგილობრივის მღვდლის მიერ იქმნებიან წირვის დროს ნიადაგ მოხსენებულნი.—

*
* *

სოფლის ობჩის წმიდის გიორგის ეკლესიის მღვდლის მ. ამბაკო ღიბრაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მამაო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მოგვცეთ, რომ თქვენის გაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ჩემს სამრევლოშიდ მცხოვრებთ გლეხთ როსაფა მაჩიტაძეს, ელისაბედ ხაჰიპერაძის ქვრივს და სტაროსტა დარისპან გეწაძეს, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულს ეკლესიას შემოსწირეს შემდეგი ნივთები: პირველმა შემოსწირა პარაკლიტონი, ღირ, 7 მან., მეორემ—ჟამნი, ღირ. 3 მ. და მესამემ—1 წყვილი დიდი შანდლები, ღირებულნი 24 მ., დაფარნები, ღირ. 6 მ. და სახარება შეამკო მშვენიერის ყდით და გაწყო მახარობლებითა, რომელზედაც დახარჯა თავის ფული 15 მანეთი».

*
* *

სოფ. ბოსლევის ნათლის-მცემლის შტატის ეკლესიის მღვდლის მ. ვასილ ფერაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა შევსწირო იმ პირთ, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულს ეკლესიას შემოსწირეს სხვადასხვა ნივთები და მასთან გთხოვთ დამიბეჭდოთ ეს შემწირველთა სია.

თინათი იესე ჩუბინიძის ასულმა შეამკო ძველი სახარება, რომელიც დაუჯდა 13 მ. და 50 კ., აზ. დიმიტრი აბაშიძის მეუღლამ მარიამ დავითის ასულმა შემოსწირა 1 ხელი შესამოსელი, ღირ. 28 მ., ამავე ეკლესიის მედავითნემ ერმილე ათანას ძემ გაჩეჩილაძემ—1 ჯვარი, ღირ. 2 მ. და 50 კ., ათანე გაჩეჩილაძის მეუღლამ სალომემ 1 კონდაკი, ღირ. 3 მ. და 10 კ., ყმის პავლე კაპანაძის მეუღლამ მარიამმა 2 პატარა ხატი ღვთის-მშობლის და მაცხოვრისა, ღირ. 6 აბაზისა., ყვირილის ნათლის-მცემლის ეკლესიის მედავითნემ მიხეილ ივანეს ძემ ბარამაძემ თანაარსი, ღირ. 6 აბაზისა., დეკ. დავით ლამბაშიძის მეუღლამ ოლღა ნიკოლოზის ასულმა 1 ხელი დაფარნენები, ღირ. 3 მ., აზ. გიორგი, ივანე და ნიკოლოზ ქაიხოსროს ძეთა აბაშიძეებმა გარდამოხსნა, ღირ. 1 თუმანი, იკონასტასი ამ ეკლესიისა და ზედმიწერილის ეკლესიებისა მოპოვებულ იქმნა მრევლის შემწეობით და დახმარებით, რომლებზედაც დაიხარჯა 400 მ. ჩემდამო რწმუნებულს ბოსლევის ზედმიწერილი ნათლის-მცემლის ეკლესიას შემოსწირეს ქვემოდ მოხსენებულ პირთ შემდეგი ნივთები:

საჩინო და ზურაბ შაქარას ძეთ კაპანაძეებმა შემოსწირეს ძველი ხელვანობით ნაკეთები წმ. ევლის ბარძიმ-ფეშხუმი და ვარსკვლავი, ღირებულნი

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზედ.

## იოანნე გლახაკი.

(რუსულიდგან).

მეხუთე საუკუნეში ქრისტეს შობის შემდეგ საბერძნეთში, ქალაქ კონსტანტინეპოლში სცხოვრებდა ერთი მდიდარი და სახელ-განთქმული მეპალე, სახელად ევტროპი. ევტროპს ჰყავდა სამი ვაჟი. ორი უფროსი ვაჟი შევიდა სახელმწიფო სამსახურში, უმცროსი იოანნე კი მშობლებთან სცხოვრებდა. მშობლებს იოანნე სხვა შვილებზე უფრო უყვარდათ. ის იყო მშვიდი, პატივის-მცემელი და გამგონე მშობლებისა... იოანნესაგან დიდს ნუგეშს მიელოდნენ მშობლები მოხუცებულობის დროს. მშობლებს სულით და გულით სურდათ, რომ იოანნესათვის იმ დროის შესაფერი სწავლა-განათლება მიეცათ; ამისათვის შეიყვანეს იგი ერთს სასწავლებელში. სწავლაში იოანნემ დიდი მუყაითობა გამოიჩინა. სამაგალითო იყო მისი ცხოვრება. იოანნე ხშირად კითხულობდა საღმრთო წიგნებს და თავისუფალს დროს, ამხანაგებთან უბრალოდ ლაპარაკის მაგივრად, ეკკლესიაში წირვა-ლოცვის მოსასმენად დაიარებოდა. ერთხელ იმ სასწავლებელში, სადაც იოანნე სწავლობდა, შევიდა ერთი ბერი. ეს ბერი იერუსალიმში მიემგზავრებოდა წმ. ადგილების თაყვანის საცემლად. მოწაფეები შემოეხვივნენ ბერს და დაუწყეს კითხვა საზოგადოდ ბერების ცხოვრების შესახებ. იოანნე კი ამხანაგებში ჩუმად იდგა და ბერის საუბარს ისმენდა. ბერის საუბარმა გაიტაცა იოანნე, მონასტრულმა ცხოვრებამ მიიზიდა მისი გული. გაიხმო მან ბერი და მოწიწებით სთხოვა: წმ. მამაო! მე მსურს უარ-ვჰყო ეს ქვეყანა და ვემსახურო ქრისტეს; მრავალგზის წამიკითხავს საღმრთო წერილში და სხვეებთაგანაც მსმენია, რომ ქვეყნიური ცხოვრება ამაოა; ქვეყანაზედ ყოველივე წარმავალია და დროებითი. მე სიმდიდრეში ვარ აღზრდილი, მაგრამ რას შემძენს სიმდიდრე? სიმდიდრეში ადვილად შეიძლება სულის წარწყმედა. ამისათვის მოწიწებით გთხოვ: წამიყვანე მონასტერში, იერუსალიმიდგან დაბრუნების შემდეგ. მე ბერობა მსურს, შემძაგდა სიმდიდრე, ის ამაოა. მე მსურს ვიშრომო, გაჭირვებაში ვიყო. ბერი დარწმუნდა, რომ იოანნეს გულწრფელი მოწადინება ჰქონდა ბერულ ცხოვრებისადმი. მან ფიცით აღუთქვა იოანნეს მისი თხოვნის აღსრულება. ამის შემდეგ იოანნემ უფრო ხშირად იწყო საღმრთო წიგნების კითხვა. მას სულითა და გულით ჰსურდა დაწვრილებით შეესწავლა იესო ქრისტეს სწავლა-ცხოვრება, რომ ამით ეხელმძღვანელებია ცხოვრებაში. სთხოვა მშობლებს წმ. სახარება. მშობლებმა შეამკეს სახარება ოქროთი, ძვირფასის ქვებით და მისცეს იოანნეს. იოანნე დღე და ღამე თითქმის განუწყვეტლად კითხულობდა ამ საღმრთო წიგნს; ის მოუთმენლად ელოდდა იერუსალიმიდგან ბერის დაბრუნებას. მას უნდოდა მალე აღესრულებია თავისი სურვილი. ბერიც დაბრუნდა. იოანნე ჩაჯდა გემში და გაჰყვა ბერს მონასტერში. მშობლებმა დიდხანს ეძიეს იოანნე, თუ ქალაქში, თუ ქალაქს გარეშე; მთელი საბერძნეთი მოიარეს, მაგრამ ვერა გაიგეს რა; დიდი მწუხარება განვლეს მშობლებმა. იოანნე კი, შემდეგ რამოდენიმე დღის მოგზაურობისა, მივიდა მონასტერში. მონასტრის წინამძღვარს უძნელდებოდა იოანნეს მიღება, რადგანაც ის ყმაწვილი იყო. წინამძღვარი ჰფიქრობდა: იოანნე, სიყმაწვილისა გამო, შრომას ვერ აიტანს; მას არ შეუძლიან აღასრულოს ყველა იმ მოთხოვნილებათა, რომელნიც სხვა ბერთათვის სავალდებულო კანონით. მაგრამ იოანნემ მალე დაიმსახურა წინამძღვრის ყურადღება. ის იყო მორჩილი, თავმდაბალი, თითქმის დღე და ღამე განუწყვეტლად ლოცულობდა და მარხულობდა. იოანნე აღკვეცეს ბერად. ექვსი წელი დაჰყო მან მონასტერში. რამდენი დრო გადიოდა, იოანნეს იმდენად უფრო უძნელდებოდა ბერობა. ხშირად იგონებდა ის მშობლებს; ხანდისხან ლოცვის დროს თვალწინ იდგენდა იმ მდიდრულ ცხოვრებას, რომელშიაც აღიზარდა. აგონდებოდა ძვირფასად შემკული სახლი და იქ დროს გატარება... იოანნე სცდილობდა მოესპო თავის გულში ამგვარი ფიქრები. სასმელ-საჭმელი მთლად დაივიწყა... მაგრამ ასეთმა ძალდატანებამ, შინაგანმა ბრძოლამ ცუდი გავლენა იქონია იოანნეზედ, იოანნე დასუსტდა, პირის სახეზედ ცუდი ფერი დაედო; ადვილი წარმოსადგენი იყო მიზეზი იოანნეს დასუსტებისა... ბოლოს იოანნე მიიხმო წინამძღვარმა და უთხრა: შვილო! ყოველმან კაცმან უნდა იტვირთოს ტვირთი ძალისამებრ თვისისა. მე პირველადვე გაგაფრთხილე, პირველადვე გითხარ, რომ შენ არ შეგიძლია შრომა, ლოცვა და მარხულობა... მონასტერში ცხოვრებას არ დაუსუსტებივარ. ბერული ცხოვრება მე ძალიან მიყვარს, ამ ცხოვრებაში ვპოვებ მე ჩემის სულის საზრდოს. ჩემის დასუსტების მიზეზი სხვაა, მოუჰყვა იოანნე გულ-ახდილად. წინამძღვარმა განუმეორა იოანნეს, რომ ის ამ საქმეში დამნაშავე არ არის, რომ მან წინადვე განუმარტა მას სიძნელე ბერული ცხოვრებისა. წინამძღვარმა გაისტუმრა იოანნე მონასტრიდგან, დალოცა და მისცა დარიგება, თუ როგორ უნდა ეცხოვრა მას ქვეყანაზედ სულის სასარგებლოდ, ცრემლითა და ტირილით მოისმინა იოანნემ წინამძღვრის დარიგება, გამოესალმა ბერებს და გაემგზავრა შინისაკენ. მოგზაურო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის დროს, იოანნე ხშირად ლოცვილობდა, ის კარ-
გად გრძნობდა, რომ უფრო ძნელს საქმეზედ მიდი-
ოდა, მას სულით და გულით ჰსურდა მშობლებთან
ცხოვრება იმ რიგად, როგორც მონასტერში სცხოვ-
რებდა. მაგრამ ისიც კარგად იცოდა, თუ რა ძნელი
იყო მისთვის ამ სურვილის ასრულება. მოგზაურო-
ბის დროს, შემოეყარა მას ერთი მათხოვარი. იოან-
ნემ გაიხადა ტანსაცმელი და მისცა მას; მათხოვრის
ძველი, დახეული ტანისამოსი კი თვითონ ჩაიცვა...
შევიდა იოანნე კონსტანტინეპოლში; დაინახა მშობ-
ლების სახლ-კარი, დაეცა მიწაზე პირქვე და შესთ-
ხოვა ღმერთს ტირილით: უფალო იესო ქრისტევ! ვჰედავ
მე სახლსა მამისა ჩემისასა, რომლის ნახვასაც ვინატ-
რიდი; ნუ განაშორებ ჩემგან მადლსა შენსა. გარდა-
მომივლინე ზეგარდამო მადლი, რათა ვსძლიო ბო-
როტი სული. მომანიჭე იმოდენი მოთმინება, რომ
ვიცხოვრო ჩემის მშობლების დაახლოვებით კეთი-
ლად... მთელი ღამე ილოცა იოანნემ. ღმერთო! ნუ
შემიყვან განსაცდელსა შინა, განსდევნე ჩემგან ფიქ-
რი სიმდიდრეზედ და ღირს-მყავ გაჭირვებაში განტე-
ვებად სულისა ჩემისა. გათენდა. გამოვიდა ეზოდგან
იოანნეს მშობლების მოურავი. მოურავი მივარდა
იოანნეს და გულმაყად ჰკითხა: აქ რას აკეთებ? წა-
დი, დაიკარგე: ამ კარებიდგან ბატონი გაშობრძანდება
ეხლავე... იოანნეს სახე იმ რიგად იყო შეცვლილი,
რომ მოურავმა ის ვერ იცნო; მოურავი ვერ მიხვდა,
რომ ეს მათხოვარი მისი ბატონისშვილი იყო. ან კი
როგორ იცნობდა, როდესაც იოანნე დახეულს ტა-
ნისამოსში იყო გახვეული. ამ კარებთან ცხოვრების
ნება მომეცი, ევედრებოდა იოანნე მოურავს; ამ მო-
წყალებისათვის ღმერთი მაგიერს მოგაგებს. მოურავმა
შეიბრალა იოანნე და არ გაუძევებია ის კარებიდგან.
გავიდა რამოდენიმე ჟამი, ეზოს კარებიდგან იოანნეს
მშობლები გამოვიდნენ. იგინი მიემგზავრებოდნენ
მეფის სასახლეში, შვილს ახლოს გაუარეს, მაგრამ
იგი ვერ იცნეს. იოანნემ იცნო მშობლები, მას გუ-
ლი აუთრთოლდა და იწყო ცრემლების ღვრა. მოი-
დრიკა მუხლი და ღმერთს შესთხოვა: ღმერთო! ნუ
დამიტევებ მე ბოლომდის.

იოანნეს არ უნდოდა თავის ვინაობის გამოცხა-
დება. მან იწყო ცხოვრება თავის ეზოს კარებთან
გაჭირვებაში. ევთროპი ხშირად უგზავნიდა მას სას-
მელ-საჭმელს. მან არ იცოდა, რომ ეს მათხოვარი
მისი შვილი იყო. ხანდისხან კი იტყოდა ხოლმე
გულში: რა მოთმინებით ყოფილა ალქ[illegible]
მათხოვარი! ის ერთგვარად ითმენს: სიცივეს, სიცხეს,
შიმშილს და სხ... ჭეშმარიტად, ამისთანანი დაიმ-
კვიდრებენ სასუფეველს. შეიძლება ჩემი საყვარელი
შვილი, იოანნე ამგვარ გაჭირვებაშია!!!... იტყოდა
ხოლმე ევთროპი. ამის გამო, ევთროპს უფრო ებრა-
ლებოდა ეს მათხოვარი. ყოველს დღეს უგზავნიდა
მას სასმელ-საჭმელს. მაგრამ იოანნე ამ სასმელ-საჭ-
მელს სხვა გლახაკებს ურიგებდა; თვითონ კი მარტო
პურით იკვებებოდა.

იოანნეს დედა სულ სხვა მიმართულებისა იყო.
მას ცივი გული ჰქონდა; მათხოვარი სძულდა, მოწ-
ყალების გაცემა ეძნელებოდა. ერთხელ კიდეც ბრძა-
ნა მან მათხოვრის გაძევება ეზოს კარებიდგან. მაგრამ
მოურავმა არ აღასრულა ქალბატონის ბრძანება. მას
ებრალებოდა მათხოვარი (იოანნე). ეზოს კუთხეში
ფარულადააშენა პატარა ქოხი და იქ დააბინავა
იოანნე გლახაკი. სამი წელი გაატარა იოანნემ ამ
ქოხში; ის ხშირად ლოცვილობდა და მარხულობდა.
ხედავდა იოანნე მშობლების სიმდიდრეს; ხედავდა
როგორ პატივისცემაში იყვნენ იგინი. ყოველივე
ეს უარ-ჰყო იოანნემ. სიმდიდრეს გაჭირვებულად
ცხოვრება ამჯობინა. ის მტკიცედ ასრულებდა ღვთის
წინაშე აღთქმას. ის მადლობას სწირავდა ღმერთს,
რომ მას ეღირსა ხილვა მშობლებისა. ღმერთს ადი-
დებდა, რომ მის შემწეობით სძლია მან ბოროტი
სული და არ შევიდა განსაცდელში. გავიდა სამი
წელიწადი. იოანნე გლახაკის გარდაცვალების დრო
მოახლოვდა. ერთს ღამეს გამოეცხადა ძილში იოანე
გლახაკს ღმერთი და აუწყა სამი დღის შემდეგ გარ-
დაცვალება. იოანნემ გამოიღვიძა. მუხლ-მოდრეკით
ღმერთს მადლობა შესწირა: უფალო, მოიხსენე მშო-
ბელნი ჩემნი და აცხოვნენ იგინი მრავალთაებრ წყა-
ლობათა შენთა. იოანნე გლახაკმა მოიხმო მოურავი
და უთხრა: ორი სიტყვა მსურს ქალბატონს უთხრა;
მორჩილად მთხოვნელი ვარ, მოვიდეს ჩემთან და
მნახოს.

—რა სალაპარაკო აქვს ჩემთან, ვიღაც მათხოვა-
რია? წამოიძახა თავ-მოყვარეობით ქალბატონმა. მე
მას ვერ ვინახულებ; ბევრი ემუდარა ევთროპი მეუღ-
ლეს, მაგრამ ქალბატონმა არ ინახულა მათხო-
ვარი.

იოანნემ შეუთვალა ქალბატონს: სამის დღის
შემდეგ მოვკვდები; თუმც ცოცხალი არ მნახე, შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ ბევრს იგლოვ ჩემთვის. სიკვდილის წინედ იოანნეს სურდა მშობლების გამოთხოვება. პირველად დედისათვის უნდოდა გამოეცხადებია თავის ვინაობა, რომ მასზედ შთაბეჭდილება მოეხდინა და მიეცა შემთხვევა ცოდვათა მონანებისათვის; რომ შემდეგში მისი დედა მოწყალე, შემბრალე ყოფილიყო გაჭირვებულთა.

ევთროპის შთაგონებით ქალბატონმა მოისურვა იოანნეს ნახვა. გამობრძანდა სახლის აივანზედ. მათხოვარი იოანნე ხელით მიიყვანეს, ის ძალიან და სუსტებული იყო, სიარული აღარ შეეძლო.

ქალბატონო! ღმერთმა მოგცეს კეთილწარმატება, დაიწყო იოანნემ—დასუსტებულის ხმით. მე სამის დღის შემდეგ გარდავიცვლები. მსურს ერთი ნივთი დაგიტოვო სახსოვრად, მაგრამ პირველად გთხოვ მორჩილად: ჩემი გვამი იმ ქოხში დაასაფლავეთ, სადაც მე სამი წელიწადი ვსცხოვრებდი გაჭირვებაში. ძვირფასის ტანისამოსის ღირსი არა ვარ. ეს ძველი ტანისამოსი ჩამაყოლეთ საფლავში. შემდეგ მისცა დედას სახარება. ეს სახარება იყოს შენი ნუგეში და შენის მეუღლისა. უთხრა იოანნემ.

ქალბატონი სახარებას დააკვირდა. ეს სახარება იმ სახარებასა ჰგავს, რომელიც საყვარელს შვილს იოანნეს მიეეცით საკითხავად, წამოიძახა მან გაკვირვებით.

ნამდვილად ის სახარებაა, სთქვა ევთროპმა. სად იპოვნა ეს სახარება მათხოვარმა?... შეიძლება მან იცის, სად არის ჩემი შვილი იოანნე!... სთქვა ევთროპმა და გაეშურა მათხოვრისაკენ: გაფიცებ ღმერთსა, სად იპოვნე შენ ეს სახარება? სად არის ჩემი იოანნე?... ევთროპს ტირილი მოუვიდა.

იოანნემ ველარ შეიმაგრა გრძნობა გულისა; ამოიოხრა და ტირილითა სთქვა: მე ვარ იოანნე, თქვენი შვილი. ამ თქვენ მიერ ნაჩუქარის სახარებით მე ვსარგებლობდი. თქვენის მწუხარების მიზეზი მე ვარ; ამ სახარებამ მასწავლა ღვთის და მოყვსისადმი სიყვარული: ყოველივე უარ-ვჰყავ მე ქვეყანაზედ სულისათვის. გაჭირვებაში ვსცხოვრებდი მე აქამომდე ეზოს კუთხეში.

მოეხვივნენ მშობლები იოანნეს. მათს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ მეორეს მხრით ძალიან სწუხდნენ: იმ დროს იპოვეს დაკარგული შვილი, როდესაც სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდნენ. იოანნე გარდაიცვალა. სიკვდილის ჟამს იგი ღმერთს ადიდებდა.

დედამ შემოსა მიცვალებულის გვამი ძვირფასის ტანისამოსით. მას დიდებულად უნდოდა შვილის დასაფლავება. მაგრამ უეცრივ საშინელი ავადმყოფი შეიქმნა.

სიკვდილის წინად იოანნემ გვთხოვა ამ ძველს ტანისამოსში დასაფლავება. ვალდებულნი ვართ, უკანასკნელი თხოვნა ჩვენის შვილისა აღვასრულოთ, სთქვა ევთროპმა. მეუღლეც დაეთანხმა მას. ის უეცრივ განთავისუფლდა ავადმყოფობისაგან. იოანნე დაასაფლავეს იმ ქოხში, სადაც სამი წელი სცხოვრებდა ტანჯვა-წვალებაში. მშობლებმა იოანნეს საფლავზე ძვირფასი ეკკლესია ააშენეს; ააგეს დიდი სახლი. ამ სახლში ყოველს გაჭირვებულს ჰქონდა ბინა და სასმელ-საჭმელი. ყოველივე ეს იოანნეს მოსახსენებლად იქნა. ევთროპმა და მისმა მეუღლემ მთელი სიმდიდრე კეთილ საქმეებზედ მოიხმარეს. როდესაც გარდაიცვალნენ, საყვარელის შვილის იოანნეს საფლავის მახლობლად იყვნენ დასაფლავებულნი.

მღვ. თ. დუგლაძე.

## შ ე წ ი რ უ ლ ე ბ ა.

დავით აღმაშენებლის სამლოცველოს განსაახლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსავლებლად ჩვენ მიიღეთ მღვდლის მ. პორფირე კაპილაძისაგან 11 მანეთი და 45 კ. რომელიც მას შეუკრებია თავის სამრევლოში. ეს ფულები შემოუწირავსთ შემდეგ პირთ:

კაცია ივანეს ძეს მაჭავარიანს 1 მ., ნესტორ მათესძეს დუგლაძეს—1 მ., ანთიმოზ პავლეს ძეს კობახიძეს—1 მ., მელქისედეკ მარკოზის ძეს დუგლაძეს—50 კ., ნიკოლოზ გიორგის ძეს დუგლაძეს—40 კ., გიორგი ნიკოლოზის ძეს სხილაძეს 20 კ., გერასიმე სპირიდონის ძეს დუგლაძეს—40 კ., იპოლიტე პავლესძეს კობახიძეს—20 კ., იორამ ეგნატეს ძეს კობახიძეს—20 კ., ისიდორე თომას ძეს კოპზარიძეს 20 კ., ეკატერინა მაჭავარიანისას 1 მ., ნინა კობახიძისას 1 მან., ანნა გუგუშვილისას 20 კ., მაკრინა გუგუშვილისას—20 კ. ანუსია კაკილაძისას—20 კ., ტასია ხნჟიძისას—20 კ., მართა არჯევანიძისას—20 კ., ანნა არჯევანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძისას—20 კ., პოლექსია გოგზირიძის ასულს—20 კ., ტასია მელქაძისას—20 კ., ელისაბედ გოგზირიძისას—20 კ., მართა მაჭავარიანისას—20 კ., ატატო არჯევანიძისას—40 კ., ქეთემია ჩხეიძისას—20 კ., სალომია იობიძისას—20 კ., სოფია დუგლაძისას—20 კ., მარიამ დუგლაძისას—20 კ., ლუბონიკა დუგლაძისას—20 კ., ელენა ნინიკაშვილისას—15 კ., ელისაბედ დუგლაძისას—40 კ., სოფია გავილაძისას—20 კ., მართა სხილაძისას—20 კ.

II

ს. ბოსლევის ნათლის-მცემლის ეკკლესიის მღვდლის ვასილ ფერაძისაგან ჩვენ მივიღეთ წმ. დავით ალმაშენებელის სამლოცველოს განსაახლებლად და მოწამეთ დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსაპოებლად 6 მანეთი და 5 კ. ეს ფულები შემოუწირავსთ შემდეგ პირთ:

დარისპან ივანეს ძეს კაპანაძეს 1 მ., სანინო შაქარას ძეს კაპანაძეს 1 მ., ივანე იოთამის ძეს კაპანაძეს 1 მ., ბიჭია ყანჩაველს 40 კ., დიმიტრი კაკიას ძეს კაპანაძეს 1 მ., მედავითნეს ერმილე გაჩეჩილაძეს 40 კ., გიორგი ალფეზის ძეს კაპანაძეს 15 კ., სვიმონ მჭედლიძის დედას გულქანას 10 კ., თვითონ მღვდელს ვასილ დავითის ძეს ფერაძეს 1 მანეთი.

ამ ფულისა წინედ იყო 334 მ. 47 კ., ახლა არის 351 მანეთი და 97 კ.

---

## რედაქციის პასუხი.

**მასწავლებ. პ. ჩ—იას.** თქვენ სტატიებს სასულიერო ჟურნალის დანიშნულება არა აქვს და ამიტომ არ იბეჭდება და შემდეგი სტატიებიც თუ ამისთანა მიმართულების არის, ჩვენი გაზეთისათვის გამოუდეგარი იქნება. მიმართეთ სხვა ქართულ გაზეთს: იქ ყველა ნაწერი მიიღება...

**მღ. დ—ე ხონე—ძეს.** არც ერთ მღვდელს არა აქვს უფლება, რომ სხვისი სამრევლო ადგილობით მღვდლის დაუკითხავად თავის ეკკლესიის საზღვრებში ჩაიწეროს. თუ ჩაწერა განონიერად მოხდა, მაშინ ჩაწერილი პირი ჩამწერელი მღვდლის სამრევლოთაგანია და ის უსრულებს მას ყოველს მღვდელ-მოქმედებას.

---

### მიიღება ხელის-მოწერა 1892 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

# „მწყემსზედ“

### და

### რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა, არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

### ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით | «მწყემსი» | 5 მ. | 6 თვით | «მწყემსი» | 3 მ. |
| — ,, | ორივე გამოცემა | 6 » | — ,, | ორივე გამოცემა | 4 » |
| — ,, | რუსული ,, | 3 მ. | — ,, | რუსული ,, | 2 მ. |

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газетъ „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისყიდებიან

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, ცენტრალურ და ბ. ხიდიკელის წიგნების მაღაზიებში, ქუთაისში—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში და ძმ. ჭილაძეების და წერეთლის წიგნების მაღაზიებში და ყვირილაში—თვით გამომცემელთან.

1) დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზედ, რომელიც უწმიდესი სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში—ფასი . . . . 30 კ.

2) იგივე დარიგება საღმრთო სჯულის სწავლაზედ რუსულს და ქართულს ენაზე 50 კ.

3) საქართველოს საეკკლესიო ისტორია ფასი ყდით . . . . . 45 კ.

4) ქართული ლოცვანი, თვეთა მეტყველებით, ქრონიკონით და მართლმადიდებელი ეკკლ. უმთავრესი დღესასწაულების მოთხრობით.—ფასი . 30—

5) ახალი კარაბადინი, რომელიც განხილული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან.—ფასი . . 1 მან.

6) მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . 30 კ.

7) ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება.—ფასი ყდით . . 40 კ.

8) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართველთ განმანათლებელი,—ფასი . 25—

9) გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებელისა.—ფასი . . . 25—

10) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5—

11) წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ვასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი, სურათებით—ფასი 5—

12) მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—

13) დიდ-მარხვის წინ, სურათით.—ფასი . 2—

14) ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა სურათით —ფასი . . 2—

15) ბზობა სურათით—ფასი . . . 2—

16) აღდგომა სურათით—ფასი . . 2—

17) პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან . . . 5—

18) მეფე სოლომონ ბრძენი სურათით—ფ. 5—

19) ცხოვრების აღწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . 2—

20) წმიდა ნინა ქართველთ-განმანათლებელი . 2—

21) შიო-მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი სურათით—ფასი . . . . —5

22) მიძინება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა, სურათით—ფასი - . 2—კ.

23) ამაღლება პატიოსნისა და ცხოველ-მყოფელისა ჯვრისა უფლისა სურათით 2—

24) ღვთის-მშობლის დაბადება—სურათით 2—

25) ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა 2—

26) ესთერი სურათით.—ფასი . . 5—

27) წმ. მოწამე რაჟდენი—სურათით ფასი 5—

28) ისო ძისა ზირაქისა სურათით . . 5—

29) დაწყებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე ფასი . . 15—

30) ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) 30—

31) **1892 წ.** სასულიერო და საერო სურათიანი კალენდარი . . . . . 20—

---

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 15 კ.

ვინც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 29 Ноября 1891 г.*
Типографія редакціи(Д. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр.Ханановыхъ на Нѣмецкой ул.